# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 11 თებერვალი. 2017 წ. №33 (8170), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

## გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის გამო

## ქალებო, გაუფრთხილდით მამაკაცებს!



④

**მაინც, რატომ ცოცხლობენ ქალები მამაკაცებზე მეტხანს**

## მაიკლ ფლინი: აშშ-ს ახალი ადმინისტრაცია მხარს უჭერს საქართველოს რეფორმების კურსს

**აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია მხარს უჭერს საქართველოს რეფორმების კურსს და სათანადოდ აფასებს ქვეყნის სიმტკიცეს და საერთაშორისო ძალისხმევას** — ამის შესახებ თეთრ სახლში გამართულ შეხვედრაზე უსაფრთხოების საკითხებში ამერიკის პრეზიდენტის მრჩეველმა, გენერალმა მაიკლ ფლინმა განაცხადა. პრეზიდენტ ტრამპის მრჩეველთან შეხვედრა ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტის ფარგლებში გაიმართა.



**მიხეილ ჯანელიძემ და მაიკლ ფლინმა განიხილეს საქართველო-ამერიკის სტრატეგიული პარტნიორობის საკითხები. მინისტრმა მადლობა გადაუხადა პრეზიდენტის მრჩეველს საქართველოს მიმართ როგორც პერსონალური, ასევე ახალი ადმინისტრაციის მხრიდან გამოხატული ინტერესისა და მხარდაჭერისათვის, ხაზი გაუსვა ამერიკა-საქართველოს ძლიერ სტრატეგიულ პარტნიორობას და წლების განმალობაში ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის გაწეულ დახმარებას.**

გენერალმა ფლინმა განსაკუთრებით აღნიშნა საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების პროცესში, აღინიშნა რომ საქართველო მნიშვნელოვანი პარტნიორია შეერთებული შტატებისთვის არა მხოლოდ რეგიონში, არამედ გლობალურად, როდესაც საკითხი ეხება საერთაშირისო გამოწვევებსა და უსაფრთხოებას. გენერალმა ფლინმა მადლობა გადაუხადა საქართველოს იმ სიმამაცისა და სიმტკიცისთვის, რასაც ქართველი სამხედროები იჩენენ სამშვიდობო მისიებში ავღანეთსა და ერაყში. ამერიკის პრეზიდენტის მრჩევლის განცხადებით, საქართველო სამაგალითოა რეგიონში დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით და აქვს დიდი პოტენციალი რეგიონალურ ეკონომიკურ ჰაბად გადაიქცეს.

**საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა, გენერალ ფლინს გააცნო საქართველოს მთავრობის რეფორმების პაკეტი, რაზეც ამერიკული მხრიდან აღინიშნა, რომ რეფორმების აღნიშნული გეგმა ემთხვევა ამერიკის ახალი ადმინისტრაციის ხედვებს.**

შეხვედრაზე ასევე საუბარი შეეხო რეგიონში უსაფრთხოების გარემოს, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებას. თეთრი სახლის მხრიდან კიდევ ერთხელ დადასტურდა ამერიკის მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ევრო-ატლანტიკური მისწრაფებების მიმართ.

**ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი შეხვედრებს გამართავს ამერიკის სახელმწიფო მდივანთან რექს ტილერსონთან, სენატისა და კონგრესის წარმომადგენლებთან, მათ შორის აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარესთან ბობ კორკერთან, ასევე სენატის ასიგნებების კომიტეტის თავმჯდომარეს ტედ ქოქრანთან.**

## სოსო ცინცაძე: ისე არ მოვიქცეთ, რომ ლუვრისა და ვერსალის სანახავად ჩასულებზე ძებნა გამოცხადდეს



⑧

## უმადურობის სინდრომი

- **ერთი ცილისმწამებლური პუბლიკაციის გამო**

②

- **ნაჭყებია დაუკრეფავში გადავიდა**

## ◎ დღის ამოჩაზურიდან



მელია — ნაციონალური ზოოპარკის ლიდერი.

## სერგეი ლავროვი: ...მსგავსი მასშტაბური სამუშაოების ჩატარება რუსეთსა და საქართველოს შორის არარეალურია

③

*სიმღერის წარსულიდან*

გელა ქოქიაშვილი

⑥

## საოპერო სცენის ტრიუმფატორი

**მიხეილ ნანობაშვილი (მიშელ დარიალი)**



# ერთი ცილისმწამებლური პუბლიკაციის გამო

**მიმდინარე წლის 2 თებერვალს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ პუბლიცისტი ზ. ნაჭყებია ქართველ ინტელიგენციას ბრალს დებს გაუგონარ დანაშაულში. მას ეჩვენება, რომ ქართველი ინტელიგენცია — მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწეები და ა.შ. „დაამონა“ იმ დახმარებამ, რასაც მათ ბატონი ბიძინა ივანიშვილი უანგაროდ უწევს და, თითქოს, ამ დახმარებამ ქართველ ინტელიგენციას პირში წყალი ჩაუგუბა და ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე ხმას არ იმაღლებს. ამ შიშველი განცხადების გარდა ავტორი საჭიროდ არ თვლის კონკრეტულად დაასახელოს ის „ანტიქართული ინიციატივები“ (როგორც თვითონ აცხადებს), რომელთა წინააღმდეგ ქართველ ინტელიგენციას „ოფიციალური პროტესტი“ არ გამოუხატავს.**

ავტორს ძალიან ეიოლება ქართველ ინტელიგენციაზე თამამად წერა და ლაპარაკი, მაგრამ ყველაზე აღმაშფოთებელი, მაინც, ისაა, რომ მისი ეს სითამამე ნასაზრდოებია საქმეში ჩაუხედაობით. ის ვერ ხედავს ან არ სურს დაინახოს ქართველი ინტელიგენციის თუნდაც ბოლო ათწლეულებში გამოჩენილი საზოგადოებრივი აქტიურობა და, საერთოდ, მას უპატიებლად ზერელე წარმოდგენა აქვს საკითხზე, რომელზეც კალამს ასველებს. ამის საილუსტრაციოდ ფაქტების დასახელებაც კი ზედმეტია, იმდენად აშკარა და თვალსაჩინოა მისი პასკვილის ტენდენციურობა ობიექტური დამკვირვებლისთვის.

**ქვეყნის საჭირბოროტო საკითხების შესახებ მთელი ქართველი ინტელიგენციის მოღვაწეობის აღნუსხვას ჩვენ თავს ვერ ვიდებთ — ეს ძალიან ვრცელი და ტევადი თემაა. შემოვიფარგლებით აღნიშნული ინტელიგენციის მხოლოდ ერთი ნაწილის, კერძოდ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრების საზოგადოებრივი აქტიურობის რამდენიმე ფაქტის კონსტატაციით, რაც სავსებით საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ პუბლიკაციის ავტორი ცდება; არ ვიცით რისგან გამოწვეულ, მაგრამ ყოვლისმომცველ ბოღმას ისე დაუბრმავებია, რომ ვეღარც კი ამჩნევს და, ჩანს, არც აინტერესებს, თუ რამდენად უმოწყალოდ ამახინჯებს და უგულებელყოფს ობიექტური დამკვირვებლისათვის ესოდენ ადვილად აღსაქმელ სინამდვილეს.**

ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან შედგება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიაც, რომლის წევრები ამა თუ იმ ფორმით (პროგრამები, პროექტები, პუბლიცისტური წერილები, საჯარო გამოსვლები) სისტემატურად ეხმაურებიან ქვეყნის წინაშე წამოჭრილ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებს. მათ შორის აკადემიამ ბოლო წლებში:

**— შეიმუშავა და მთავრობას წარუდგინა ხალხის არსებობის საფუძველთა საფუძვლის — მიწის ფონდის მართვის მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფცია, რომლის ქვაკუთხედია ამ პრობლემისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა ფსევდოლიბერალური დემაგოგიის საპირისპიროდ. კონცეფცია ინტენსიურად განიხილება პარლამენტსა და მთავრობაში და, ყველა მონაცემით, საკითხი თანამედროვე და მომავალი თაობების სასარგებლოდ გადაწყდება;**

**— აკადემიამ შეაფასა თანამედროვე ვითარება და მისი გათვალისწინებით მოამზადა და ხელისუფლებას წარუდგინა წინადადებები და რეკომენდაციები ქვეყნის ეკონომიკის განვითარების კარდინალურ საკითხებზე;**

**— ერის საციცოცხლო მნიშვნელობის გამოწვევას ეხმიანება აკადემიის მიერ შემუშავებული და მთავრობის მიერ სამოქმედოდ მიღებული დემოგრაფიული უსაფრთხოების პროგრამა, რომელიც მოიცავს მოსახლეობის აღწარმოების, მიგრაციისა და განსახლების სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის განხორციელების საფუძვლებს;**

**— სურსათის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ყოვლისმომცველი პროგრამა.**

**— ბუნებრივი კატასტროფების პროგნოზირებისა და მოსალოდნელი შედეგების მართვის კონცეფცია;**

**— ლომის წილი დაიდო ქართული ენის შესახებ კანონის პროექტის შემუშავებაში, რომელიც უკვე კანონად არის ქცეული პარლამენტის დადგენილებით. მუშავდება და მალე პარლამენტს წარედგინება კანონპროექტი ენის პალატის შესახებ;**

**— სწორედ რომ ეროვნულ პრობლემატიკას ეხმიანება აკადემიის მიერ განხორციელებული საეტაპო მნიშვნელობის გამოცემები: „ქართლის ცხოვრება“ (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე), „ქართული ენა“, ენციკლოპედია „საქართველოს“ მრავალტომეული;**

**— მეცნიერებათა აკადემია (ცალკეული აკადემიკოსები) საკადრის პასუხს სცემენ საქართველოს ისტორიის გამყალბებელ მეცნიერებს ახლო თუ შორეული ქვეყნებიდან.**

**— აკადემიაში ფუნქციონირებს ეროვნული საკითხების შემსწავლელი კომისია, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია ქვეყნის წინაშე მდგარი, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული გამოწვევების დასაძლევად დროული და საფუძვლიანი რეკომენდაციების შემუშავება.**




თუ ავტორისათვის ყოველივე ეს ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე თვალის „დახუჭვა“ და „პირში წყლის ჩაგუბებაა“, ეს უკვე მისი პრობლემაა.

გაუგებარია, რას გულისხმობს პუბლიცისტი „ოფიციალურ პროტესტში“. მთავრობა და მისი უწყებები, რომლებიც გახსნილია თანამშრომლობისათვის, რომლებიც საზოგადოებას ღიად იწვევს ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი პრობლემების განხილვასა და გადაწყვეტილებების მიღებაში უშუალო მონაწილეობისთვის, სულაც არ არის ჯიუტი და შეუვალი თავისი მოსაზრებების გადასინჯვაში — ასეთ სიტუაციაში „ოფიციალური პროტესტები“ ხომ კომიკური საქციელი და ღია კარების მტვრევაა. ელემენტარული აქსიომაა, რომ საზოგადოებრივი აქტივობის ფორმებს არსებული ვითარება გვკარნახობს და ფორმის შერჩევასაც ვითარება განსაზღვრავს და არა მავანის ახირებული სურვილი.

პუბლიცისტი წერს, რომ მას თურმე ბევრი უფიქრია, თუ რა სახელი მოეძებნა ბატონ ბიძინა ივანიშვილის მიერ ინტელიგენციის მიმართ გაწეული თანადგომისათვის. ენას ძვალი არა აქვს და ქაღალდიც ყველაფერს იტანს, თორემ უკუღმართი წარმოსახვით გამოწვეული შავისა და თეთრის აღრევა ფიქრის (თანაც ბევრის) ნაყოფი როდის ყოფილა?! ისე, დაფიქრება პუბლიკაციის ავტორს არ აწყენდა, ყოველ შემთხვევაში, ეს ქველმოქმედებასა და მოსყიდვას შორის განსხვავების აღქმაში შეეშველებოდა, იქნებ, „რეამინაციისა“ (როგორც თვითონ წერს) და „რეანიმაციის“ გარჩევაშიც დახმარებოდა.

**არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ქართველი ინტელიგენცია გულწრფელად იწონებს ბატონ ბიძინა ივანიშვილის ძალისხმევას ქართული ეკლესიის, ეროვნული კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების მხარდასაჭერად. მიგვაჩნია, რომ იგი ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისათვის მუხლჩაუხრელად იღვწის. ამ ღვაწლის დაუნახაობა უმადურობაა, მაგრამ მისი მრუდე სარკეში წარმოსახვა უფრო უარესი — მიუტევებელი მკრეხელობაა.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმი**

---

**„საქართველოს რესპუბლიკის“ 2017 წლის 2 თებერვლის ნომერში „სამოქალაქო ინიციატივის ჯგუფის“ წევრის ზაურ ნაჭყებიას პუბლიკაცია“ როგორ „დაიმონა“ ბიძინა ივანიშვილმა ქართველი ინტელიგენცია“ რუბრიკით „მეგობრული შემოლაწუნება ქართულ ელიტას“, შემოლაწუნება კი არა, ძალიან ძლიერი დარტყმაა არა მარტო ქართველ ინტელიგენციაზე, არამედ მთლიანობაში იმ არნახულ ქველმოქმედებაზე, რასაც ეწეოდა და ეწევა ბატონი ბიძინა სრულიად საქართველოში.**

# ნაჭყებია დაუკრეფავში გადავიდა

## ზოგიერთი შენიშვნა ზაურ ნაჭყებიას წერილზე „როგორ დაიმონა“ ბიძინა ივანიშვილმა ქართველი ინტელიგენცია“

**შენიშვნას დავიწყებთ წერილის ბოლო, დასკვნითი ნაწილიდან:**

**„აი, რას ამბობდა თავის დროზე ჯავაჰარლალ ნერუ: „არ არსებობს უფრო დიდი მტერი საკუთარი ხალხისა, ვიდრე კოლონიზატორის მიერ აღზრდილი ინტელიგენცია“. „მე კი დავამატებ: კოლონიზატორის მიერ დაპურებული ინტელიგენციაა...“ „ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება კოლონიზატორი.“**

ბატონ ზაურს შევახსენებთ უცხო სიტყვათა ლექსიკონში ამ ტერმინების განმარტებას:

**1. კოლონია** — ლათინური სიტყვაა და ნიშნავს — „ქვეყანა, რომელიც დაპყრობილია იმპერილისტური სახელმწიფოს მიერ და იყვლიფება მისგან“.

**2. კოლონიალიზმი** — „იმპერიალისტური სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნების კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკა“.

**3. კოლონიზატორი** —„პირი, რომელიც ექსპლოატაციას უწევს კოლონიის მოსახლეობას“.

**4. კოლონიზაცია** — „ქვეყნის დაპყრობა და მისი გადაქცევა კოლონიად“ (მიხეილ ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა სასკოლო ლექსიკონი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 1999 წელი, გვ. 119).

ბატონო ზაურ: აქ მოტანილი განმარტებებიდან ხომ ვერ გვეტყვი, რომელი შეესაბამება თქვენს მიერ წერილში მოხმობილ აზრს?!

თქვენ ბრძანებთ **„ოფიციალურად ქველმოქმედება შემდეგნაირად განიმარტება: ნებისმიერი სახის მატერიალური და არამატერიალური დახმარება, რომელიც უანგაროდ გაეწევა იმ პირს, ვინც საჭიროებს დახმარებას, ან ნებისმიერ პირს, საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით“**. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ — **„ქველმოქმედება — თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კერძო პირების მიერ მატერიალური დახმარების გაწევა უქონელთათვის, ღარიბებისათვის“** (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული 1986 წელი, გვ, 455). აქ თითქოს თანხვედრი აზრია, მაგრამ „უანგაროდ“ გაეწევა იმ პირს, ვინც საჭიროებს დახმარებას „...თქვენ რა იცით, ვის რა უჭირს? და თუ იცით, რატომ არიდებთ თავს მათ ჩამოთვლას, როცა აღნიშნავთ სახელებისა და გვარების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ისედაც ყველამ ყველაფერი იცის!“ საიდან ასეთი თვითდაჯერებულობა?

ჩვენთვის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებისათვის, ყოვლად მიუღებელია ისეთი ბრალდება (დიახ, ვამბობთ ბრალდება) როგორიცაა — **„დრომ დაადასტურა, რომ ქართული ინტელიგენციის უმრავლესობა ივანიშვილისაგან ფულს იმიტომ იღებს, რომ ყველაფერზე (მათ შორის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯებზე) თვალი დახუჭოს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში თავისი მამა და მარჩენალი ხმალამოღებულმა დაიცვას, თუნდაც ამისათვის ობიექტური წინაპირობები არ არსებობდეს!!!** აქ საჭიროდ მიგვაჩნია განმარტება — სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ რომელ ნაბიჯზეა საუბარი? თუ ამ ქვეყნად კიდევ არსებობს ერთი პირი მაინც, ვინც ქართველ ინტელიგენციას ან მის „გონიერ“ ნაწილს ფულზე გაყიდულად ჩათვლის, კარგად ყოფილა ქვეყნის საქმე. შეიძლება თქვენ, ჩვენი პასუხი „ხმალამოღებული“ ხალხის პასუხად ჩათვალოთ, მაგრამ შეგახსენებთ, რომ 2005 წლიდან აკაკის მუზეუმს ბატონი ბიძინას ქველმოქმედებით ორ მილიონამდე ლარის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები ჩაუტარდა და როცა მან შეიტყო მუზეუმის მუშაკთა მწირი ხელფასის შესახებ, დაუყოვნებლივ გაგვიწია და გვიწევს დახმარებას. მიუხედავად ზემოდ აღნიშნულისა, არ ყოფილა შემთხვევა, მუზეუმის რომელიმე მუშაკს ვინმესთვის მონურად თავი დაეხაროს და ქვეყნისთვის „სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯზე“ პასუხი არ გაეცეს. თუმცა ალბათ ჩვენი „ სოფლად ყოფნის გამო“ ვერ აღვიქვამთ ამ „სახელმწიფოს წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯებს“. ამიტომაც ველით თქვენგან: ჩაგვაყენეთ საქმის კურსში და შემდეგ ნახავთ, რა ხალხი ემსახურება აკაკის და მის სამშობლოს.

**„ღმერთმა შეუწიროს ბატონ ბიძინა ივანიშვილს ის კეთილი საქმეები, რომელიც მან საქართველოს საკეთილდღეოდ გააკეთა, მგრამ, ქართველ ინტელიგენციასთან მიმართებაში მისი ქველმოქმედება უანგარო ნამდვილად არ ყოფილა“...** ბატონო ზაურ, იქნებ განგვიმარტო, რას ნიშნავს საქართველოსთვის საკეთილდღეოდ გაკეთებული საქმე და რატომაა ინტელიგენციასთან მიმართებაში მისი ქველმოქმედება ანგარებიანი?! საქართველო და მისი ინტელიგენცია თქვენს წარმოდგენაში სხვადასხვა პოლუსია თუ რაშია საქმე?!

ახლა მოვუსმინოთ სიცოცხლეში კლასიკოსად შერაცხილ მწერალს ბატონ თამაზ ჭილაძეს — „მზარავს იმის წარმოდგენა, რა მოხდებოდა ჩვენში, ქველმოქმედება რომ არ არსებობდეს, თუმცა, სწორედ ქველმოქმედება აღიზიანებს ჩვენი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, რომელიც ვერა და ვერ შეეჩვია იმ აზრს — როცა ეხმარები შემოქმედს, ეხმარები ქვეყანას, ეხმარები იმას, რითაც საქართველო საქართველოა“ („კვირის პალიტრა“ 2017 წ. 6-12 თებერვალი. „ჩვენში გამარჯვებულები დუმან, დამარცხებულები კი ლაპარაკობენ“ ირმა ხარშილაძის ინტერვიუ მწერალ თამაზ ჭილაძესთან).

**რა ვქნათ, ბატონო ზაურ, თქვენ დაგიჯეროთ თუ თამაზ ჭილაძეს?**

**ცეზარ ლაშხი,**
**ს.ს.ი.პ. აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი.**

## პრეზიდენტს კონსულტაციებზე უარი მამუკა მდინარაძემ უთხრა



პრეზიდენტის ადმინისტრაციას კონსულტაციებზე უარი ფრაქცია „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელმა მამუკა მდინარაძემ უთხრა. ამის შესახებ მდინარაძემ თავად განაცხადა. რაც შეეხება მიზეზს, მდინარაძის განცხადებით, საჯარო მოხელის მიერ პოლიტიკური თანამდებობის პირებთან შეხვედრის ორგანიზება არ არის სწორი და სწორედ ამიტომ ეთქვა უარი პრეზიდენტის ადმინისტრაციას ე.წ. მოსმენებთან დაკავშირებით კონსულტაციებზე.

**„მე მათ უარი ვუთხარი, რადგან ისინი არიან საჯარო მოხელეები და ყველაზე რბილად, რომ ვთქვათ, საჯარო მოხელის მიერ „დაორგანიზება“ პოლიტიკური თანამდებობის პირებთან შეხვედრის, არ არის სწორი. ეს არღვევს ხელისუფლების დანაწილების პრინციპებს და ეწინააღმდეგება მოქმედ რეგულაციებს. ჩვენ უნდა გამოვიდეთ საკანონმდებლო რეგულაციებიდან და შესაბამისი კეთილშობილური მიზნები გავახმოვანოთ შესაბამისი ნორმების საფუძველზე“,** — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

## ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო არ უნდა ექვემდებარებოდეს სუს-ს

**საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკური მდივანი ფიქრია ჩიხრაძე გუშინ საპარლამენტო ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენლებს შეხვდა.**



**„ევროპულ საქართველოსთან“, „მოძრაობა თავისუფლებისათვის — ევროპულ საქართველოსთან“, „საქართველოს პატრიოტებთან“ და „ნაციონალურ მოძრაობასთან“ შეხვედრაზე ფიქრია ჩიხრაძემ დეპუტატებს ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო პაკეტზე პრეზიდენტის ადმინისტრაციის პოზიცია გააცნო და მათი მოსაზრებები მოისმინა. პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის ოფიციალური წერილისა და თხოვნის მიუხედავად, საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალმა ფრაქციებმა აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე უარი განაცხადეს.**

ფიქრია ჩიხრაძის განცხადებით ყველა ოპოზიციური ფრაქცია თანხმდება, რომ კანონპროექტით წარმოდგენილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იყოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაქვემდებარებაში, არც ხელმძღვანელის დანიშვნის თვალსაზრისით, არც ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით.

პრინციპულად და გადამწყვეტად მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტით დაბალანსებული და დაცული იყოს სახელმწიფო ინტერესები, ბიზნესინტერესები და ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულება და ამავე პროექტმა უზრუნველყოს პიროვნების პოლიტიკური თავისუფლებები.

## მელია და თანამელიები აქციას ულიტინებენ

**რაც დრო გადის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ახალგამომცხვარი ლიდერი ნიკანორ მელია უფრო და უფრო „იჩორჩლება“ ახალი სიცრუეების თხზვაში, რაც მთავარია, მიკროფონს აღარ იცილებს პირიდან.** აი, გუშინაც, შეიყარნენ „რუსთავი-2“-ის —



„თავისუფალი სიტყვის“ მხარდასაჭერად და ნანატრი მსვლელობაც მოაწყვეს. გაიხსენეთ, რა თავდაჯერებულად, პირდაპირ ტროცკივით თავაღერილი მიუძღოდა შეგულიანებულ ადამიანებს, საგანგებოდ შერჩეული ტყუილებით ულიტინებდნენ მელია და თანამელიები კვლავ რუსთაველზე გაჭრით შთაგონებულ მომიტინგეებს.

**„ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ სივრცე, სადაც შეგვეძლება, ვისაუბროთ თავისუფლად გამოხატვის იმ პრობლემებზე, რომელიც ქვეყანაში არის. ქვეყანაში, როცა ხელისუფლება გარიგებაში შედის მოსამართლესთან და ამის შემხედვარე ხელისუფლება ხმას არ იღებს. კიდევ უფრო მეტიც, ხელისუფლება შეთანხმებულად მოქმედებს“.**

**საზოგადოება ასეთ შემთხვევაში იწყებს საკუთარი უარყოფით დამოკიდებულებას ამ მანკიერი პრაქტიკის წინააღმდეგ, მშვიდობიანი დემონსტრაციით. ეს ბრძოლა. არ არის მხოლოდ „რუსთავი-2“-ისთვის ბრძოლა ეს ბრძოლა, უპირველს ყოვლისა, არის პუტინის მიერ სპეცოპერაციით დანიშნული ოლიგარქის წინააღმდეგ ბრძოლა და ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ,“** — აი, ამ სტილში ჩაანიკანორეს გუშინდელი აქცია.

## მანანა კობახიძეს პარლამენტში ანრი ოხანაშვილი შეცვლის



**საქართველოს პარლამენტის გამოკლებულ წევრს მანანა კობახიძეს ანრი ოხანაშვილი შეცვლის, რომელიც ამჟამად საქართველოს პარლამენტის აპარატს ხელმძღვანელობს. ანრი ოხანაშვილი „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის 49-ე ნომერია.**

მანანა კობახიძის ადგილმონაცვლის ანრი ოხანაშვილის უფლებამოსილების ცნობის საკითხი გუშინ საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის სხდომაზე განიხილეს. მანანა კობახიძე მიმდინარე სასესიო კვირაში საქართველოს პარლამენტმა 101 ხმით საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ აირჩია.

## საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლების კვალიფიკაციის შემოწმება 6 თვეში ერთხელ მოხდება



**„კვალიფიკაციის შემოწმება არის პროცესი, რომელიც უკვე დაწყებულია. შემუშავებულია ის გეგმა და კრიტერიუმები, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს კვალიფიკაციის შემოწმება. ამის შემდეგ დადგინდება, ჩვენს ნიუსრუმში ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც თავისი კვალიფიკაციით სრულად შეესაბამებიან ახალ კონცეფციას. როდესაც გაირკვევა, რამდენი ადამიანი გვჭირდება, რა კვალიფიკაციის და რა პოზიციაზე, ამის შემდეგ გამოცხადდება კონკურსი, რომელიც იქნება ყველასთვის ღია. დღევანდელ კონცეფციაში უკვე წერია, რომ ექვს თვეში ერთხელ მოხდება ახალი თანამშრომლების კვალიფიკაციის შემოწმება“,** — განაცხადა ანთაძემ. მისი თქმით, მაუწყებელში ახალი, მულტიმედიური ნიუსრუმი იქმნება, რომელსაც ანალოგი არა აქვს.

## პარლამენტში კიდევ ერთი ოპოზიციური ფრაქცია შეიქმნა

**საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა გუშინ საპარლამენტო ფრაქციის — „მოძრაობა თავისუფლებისთვის-რეგიონები“ რეგისტრაციის საკითხი განიხილა. შალვა კიკნაველიძის განცხადებით, ფრაქციის შემადგენლობაში 6 უპარტიო წევრია წარმოდგენილი: გიორგი ღვინიაშვილი,აკაკი ბობოხიძე, ლაშა დამენია, ლელა ქებურია, მამუკა ჩიქოვანი და ზურაბ ჭიაბერაშვილი. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თქმით, წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი.**



დეპუტატებმა განხილულ საკითხს მხარი დაუჭირეს. კომიტეტი დასკვნას ბიუროს სხდომაზე წარადგენს. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, თუ პარლამენტის ბიურო საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის დასკვნის განხილვისას არ მიიღებს სხვა მოტივირებულ გადაწყვეტილებას, ფრაქცია რეგისტრირებულად ჩაითვლება პარლამენტის თავმჯდომარისათვის დოკუმენტაციის წარდგენის მომენტიდან.

## სესიაშვილი: იდეალურ სისტემას ვერ შევქმნით

**იდეალურ სისტემას ვერ შევქმნით, მაგრამ ვცდილობთ, უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ადამიანის უფლებებს შორის ერთგვარი ბალანსი ვიპოვოთ,** — განაცხადა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე, სადაც ე.წ. ფარულ მოსმენებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო პაკეტს განიხილავენ.

**„ჩვენ ვცდილობთ, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ადამიანის უფლებების, სამოქალაქო უფლებების პრინციპებს შორის ერთგვარი ბალანსი ვიპოვოთ. იდეალური ვერ ვიქნებით, იდეალურ სისტემას ვერ შევქმნით. იგივე საერთაშორისო გამოცდილება ჩვენ გვაჩვენებს, რომ ყველა ქვეყანას აქვს განსხვავებული მიდგომა, თუმცა, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი რამ დამოკიდებულია ზოგადად ქვეყანაში შექმნილ უსაფრთხოების გარემოზე, დემოკრატიის განვითარების ხარისხზე და შესაძლებლობაზე და ჩვენ ამ დროსა და სივრცეში ვცდილობთ, ერთგვარი ოქროს შუალედი ვიპოვოთ. კაცობრიობის გამოწვევაა სწორედ ის, რომ უსაფრთხოებასა და ადამიანის უფლებების პრინციპების უზრუნველყოფის მიმართულებით ბალანსი იპოვოს. ეს მარტივი არ არის, თუმცა რა სისტემაც გვქონდა, იმაზე უკეთესს და უკეთესს ვიღებთ და ეს არ არის საბოლოო, პროცესი უნდა გაგრძელდეს“,** — განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

# „...მსგავსი მასშტაბური სამუშაოების ჩატარება რუსეთსა და საქართველოს შორის არარეალურია“



საქართველოსთან უვიზო რეჟიმის შემოღებაზე საუბრობს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. სერგეი ლავროვი „იზვესტიასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის არქონის ფონზე, ვიზალიბერალიზაციის საკითხზე ისეთივე მასშტაბური სამუშაობის ჩატარება, როგორსაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის ჰქონდა ადგილი, შეუძლებელია.

**„საქართველომ გააუქმა ვიზები არა მხოლოდ რუსებისთვის, არამედ კიდევ დაახლოებით 100 ქვეყნის მოქალაქეებისთვის, ამასთან, უმეტესწილად — ცალმხრივად. ეს ჩვეულებრივი პრაქტიკაა იმ ქვეყნების მხრიდან, რომელთა მიზანსაც ტურისტების მოზიდვა წარმოადგენს. მაგრამ თანამედროვე სამყაროში, სადაც ტერორისტული და სხვა საფრთხეები სწრაფად იზრდება, არ შეიძლება ავტომატური ნაცვალგების პრინციპზე დაყრდნობა. მაგალითად, ევროკავშირის მოქალაქეებმა ჯერ კიდევ 2006 წელს მიიღეს საქართველოში უვიზოდ მოგზაურობის შესაძლებლობა, თუმცაღა, ბრიუსელი მხოლოდ 2012 წელს დათანხმდა საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზალიბერალიზაციის საკითხზე მოლაპარაკებების დაწყებას და ეს პროცესი მხოლოდ ახლა უახლოვდება დასასრულს. მსგავსი მასშტაბური სამუშაოების ჩატარება რუსეთსა და საქართველოს შორის არარეალურია დიპლომატიური ურთიერთობების არქონის ფონზე. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ უვიზო რეჟიმის შემოღება საქართველოს მოქალაქეებისთვის ორმხრივ საფუძველზე გამორიცხული არ არის. ჩვენ ღია ვრჩებით ამასთან დაკავშირებული საკითხების ერთობლივი, ყოველმხრივი დამუშავებისთვის. შეგახსენებთ, რომ 2015 წელს ჩვენ მნიშვნელოვნად გავამარტივეთ საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთში შესვლის წესები. გასულ წელს საქართველოში ჩვენი ინტერესების სექციის მიერ გაცემული ვიზების რაოდენობა თითქმის გაორმაგდა. ახლა ვმუშაობთ სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე თვითმფრინავების ეკიპაჟებისთვის“,** — განაცხადა ლავროვმა.

# ქალებო, გაუფრთხილდით მამაკაცებს!

**ისტორიულად, თითქმის 21-ე საუკუნემდე, ყველა საზოგადოებაში მნიშვნელოვანი პრობლემა იყო ქალზე მამაკაცის ძალადობა, რომელიც სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა, ბოლო ხანს კი მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა და, განსაკუთრებით, განვითარებულ ქვეყნებში, პრობლემად იქცა ქალის ძალადობა მამაკაცზე. მიუხედავად იმისა, რომ გენდერული თანასწორობა განიხილება როგორც თანასწორუფლებიანობა ქალსა და მამაკაცს შორის, საზოგადოება ყურადღებას მხოლოდ მამაკაცების მხრიდან ძალადობაზე ამახვილებს და უყურადღებოდ ტოვებს ქალების მიერ მამაკაცებზე ძალადობის ფაქტებს – ემოციურს, ფსიქოლოგიურს, ეკონომიკურს, ფიზიკურს, სქესობრივს და სხვ.**

ნახევარი საუკუნის წინათ ამის წარმოდგენაც კი შეუძლებელი იყო.

დღეს ქალების მიერ მამაკაცზე განხორციელებული ძალადობის მიუხედავად, მაინც მამაკაცებს ადანაშაულებენ: „მამაკაცს, რომელიც ქალს იმ ზომამდე მიიყვანს, რომ ცემას დაუწყებს, მამაკაცი არ ეთქმის“, „კაცად რომ ვარგოდეს, ქალი ცემას ვერ გაუბედავდა“ და სხვ. მამაკაცებზე ძალადობის პრობლემას არავინ იკვლევს, ქალების ძალადობაზე კი იწერება სტატიები, წიგნები, დისერტაციები, ტარდება კონფერენციები, გამოიცემა სამართლებრივი აქტები, კეთდება მოხსენებები ხელისუფლების მაღალ ეშელონებში. ქალების უფლებებს იცავენ ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, პოლიტიკოსები, მოხელეები, აქტივისტები თუ მედიასაშუალებები. ტელევიზია და პრესა ოჯახურ ძალადობაში, როგორც წესი, მხოლოდ მამაკაცებს ადანაშაულებს, არავინ ეხება და აანალიზებს ქალების ძალადობას. საზოგადოება ქალთა ძალადობას ჯერ კიდევ არ აღიქვამს სერიოზულ პრობლემად. **მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბოლო 15 წელიწადში მრავალი ფუნდამენტური გამოკვლევა ჩატარდა ოჯახური და, საერთოდ, ძალადობის პრობლემაზე, ამ კვლევებში მხოლოდ მამაკაცების ძალადობაზეა საუბარი და ერთი სიტყვაც არ არის დაძრული ქალების მიერ მამაკაცების მიმართ ძალადობაზე.** არადა, სახელმწიფო პოლიტიკის სწორად განსაზღვრის, საერთოდ, ძალადობის პრევენციის, მსხვერპლთა უფლებების დასაცავად საჭიროა როგორც ქალების, ისე მამაკაცების მიმართ ძალადობის ფორმების, მიზეზებისა და შედეგების შესწავლა. თუ ამჟამინდელ ფაქტებს გავაანალიზებთ, მამაკაცებს არავითარი კანონიერი ზომის მიღება არ შეუძლიათ გამძვინვარებული მეუღლის მიმართ, გარდა განქორწინებისა.

ერთნაირსქესიანთა შორის სქესობრივი კავშირი უძველესი დროიდან არის ცნობილი. ანტიკურ ხანაში ჰომოსექსუალური კავშირები ფართოდ იყო გავრცელებული და ახალგაზრდა ლამაზი ბიჭები საკმაოდ ძვირად იყიდებოდა, თუმცა, ასეთი სქესობრივი კავშირი საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მიუღებელი იყო. ძველი ბერძენი ისტორიკოსი პლუტარქე ალექსანდრე მაკედონელის ბიოგრაფიაში წერს: „ჯარის სარდალმა ფილოქსენემ ერთხელ ალექსანდრეს მისწერა, რომ მასთან არის ვინმე თეოდორე ტარენტელი, რომელსაც ორი აუწერელი სილამაზის ბიჭი ჰყავს გასაყიდად, და მთავარსარდალს ეკითხებოდა: ხომ არ ინებებთ, ეს ბიჭები იყიდოთო? ალექსანდრე საშინლად აღშფოთებულა და მეგობრებს ეკითხებოდა ყვირილით: განა როდის შემამჩნია რაიმე სიბილწე ფილოქსენემ, ასეთ საზიზღარ რაღაცას რომ მთავაზობსო? მან ფილოქსენეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მრავალგზის ჰკიცხავდა მას და ბრძანებდა, მაგ ვიღაც თეოდორეს ჯანდაბამდე ჰქონია გზა თავისი საქონლითო!

ამ ამონაწერიდან ნათლად ჩანს, რომ ანტიკურ პერიოდში სექსუალური ძალადობა მამაკაცებზე ფართოდ იყო გავრცელებული და ალექსანდრე მაკედონელი სიბილწეს უწოდებდა მამაკაცთა შორის სქესობრივ ურთიერთობას, არადა, ალექსანდრე მაკედონელზე გადაღებულ ფილმში საწინააღმდეგო მოსაზრებაა გატარებული.

სექსუალური ძალადობა მამაკაცებზე მძიმე კვალს ტოვებს მათ ცხოვრებაში. ისინი ქალების მაგივრად და, შეიძლება ითქვას, უფრო მეტადაც იტანჯებიან პოსტტრავმული აშლილობით, დეპრესიით, აწუხებთ ემოციური პრობლემები. ვაჟები, გოგონებთან შედარებით, უფრო მეტად განიცდიან ძალადობას უცნობების მხრიდან. **მამაკაცები, რომლებმაც განიცადეს სექსუალური ძალადობა, ადვილად ხდებიან ალკოჰოლიკები და ნარკომანები. მაგალითად, ერთ-ერთი გამოკვლევის მიხედვით, ძალადობის მსხვერპლ მამაკაცებში ალკოჰოლიზმის განვითარების ალბათობა 80 პროცენტს შეადგენს, ხოლო მათთვის, ვისაც ძალადობა არ განუცდია, მხოლოდ 11 პროცენტს.**

მსოფლიოში გახშირდა ქალების მიერ მამაკაცების გაუპატიურების შემთხვევები. პრობლემის დელიკატურობისა და კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამო დამნაშავენი ხშირად დაუსჯელი რჩებიან.

- **28 წლის ამერიკელი მამაკაცი სამმა ქალმა გააუპატიურა.** ერთხელ იგი ქუჩაში შეხვდა მეგობარ ქალს, რომელმაც თავის სახლში ვისკის დასალევად მიიპატიჟა. ცოტა ხნის შემდეგ მათ შეუერთდა ორი მეგობარი ქალი. მათ, ვითომ ხუმრობით, ვაჟი საწოლზე დააბეს ხელებითა და ფეხებით. ერთ-ერთმა მოიტანა თოკი და ვაჟს გენიტალიებზე შემოუჭირა. მამაკაცი მოითხოვდა, შეეწყვიტათ ეს უმსგავსობა, მაგრამ ქალებმა რიგრიგობით დაამყარეს მასთან სქესობრივი კავშირი, შემდეგ სხეულზე დაასხეს ვისკი, ტანზე მარკერით დააწერეს უწმაწური სიტყვები და აბუჩად აიგდეს. მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ გაუხსნეს მამაკაცს ხელ-ფეხი და მუჯლუგუნებით გააგდეს გარეთ.
- **დიდ ბრიტანეთში ანონიმურად გამოკითხული 2000 მამაკაციდან 70-მა აღიარა, რომ მათზე სქესობრივად იძალადეს ქალებმა.**
- **ოსტინის (ტეხასის შტატი, აშშ) უნივერსიტეტის ფსიქოლოგიური ანალიზის ცენტრის მონაცემებით, აშშ-ში ყოველ მე-10 მამაკაცს განუცდია სექსუალური ძალადობა ქალების მხრიდან.** ეს მონაცემები საბაბი გახდა იმისათვის, რომ ამერიკის ხელისუფლებას გაეფართოებინა ცნება „გაუპატიურება“ და ამჟამად აშშ-ში მამაკაცებზე სექსუალური ძალადობა დანაშაულად ითვლება.
- **საფრანგეთში გამოაქვეყნეს ქალთა მიერ მამაკაცების გაუპატიურების გამოკვლევის შედეგები, სადაც აღწერილია უამრავი მსგავსი შემთხვევა.** ერთ-ერთი ისტორია ასეთია: 27 წლის სატვირთო მანქანის მძღოლმა გაიცნო ქალი და გადაწყვიტა მასთან გაეტარებინა ღამე სასტუმროში. დილით, როდესაც გაიღვიძა, პირი აკრული ჰქონდა ალიკაპით, თვალები ახვეული, ხოლო ხელებით მიბმული იყო საწოლზე. მას სპეციალური ნემსი გაუკეთეს. ოთხი ქალი მძღოლს კასტრაციით ემუქრებოდა, თუ მასთან სქესობრივ კონტაქტს არ დაამყარებდა. მძღოლი რამდენჯერმე აიძულეს სქესობრივ კავშირზე.



- **ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის მონაცემებით, 2000 წელს ქმრის მიერ გალახულ ყოველ 15 ქალზე მოდიოდა ცოლის მიერ გალახული 8 მამაკაცი.**

აღსანიშნავია, რომ მამაკაცთა უმრავლესობა არ ამხელს ცოლის მხრიდან ძალადობის ფაქტებს, რადგან ახლობლებისა და ნაცნობების დაცინვის ეშინიათ და ანგარიშს უწევენ საზოგადოებაში გავრცელებულ თვალსაზრისს: „რა კაცი ხარ, თუ ცოლი გცემს“. **განსაკუთრებით ხშირია ქალის მხრიდან ძალადობა იმ ოჯახებში, სადაც ქალია შემომტანი და, თუ ქალი მამაკაცზე ენით მეტი და ჭკუით ნაკლებია, შეიძლება, მამაკაცს ცხოვრება ტანჯვად გადაექცეს.** ქალის ძალადობა მამაკაცზე ხშირია, როდესაც ქალი გამოიმუშავებს მამაკაცზე მეტს, უკავია მაღალი მდგომარეობა საზოგადოებაში, მუშაობს ხელმძღვანელ თანამდებობაზე, მაგრამ პირადი ცხოვრება ვერ მოიწყო. ასეთი ქალი ნამდვილ ტირანად იქცევა ხოლმე – ხელქვეითებს გაცილებით მკაცრად ეპყრობა, ვიდრე მამაკაცი, ხოლო თუ ქმარი ჰყავს, დასცინის და აბუჩად იგდებს, უმაქნისს უწოდებს. ამასთანავე, **ცნობილია, რომ ქალს შეუძლია ქმარს სრულიად უმიზეზოდ დააბრალოს ისეთი რამ, რაც მის წარმოსახვაში გაჩნდა და ქმარს სიცოცხლე გაუმწაროს – შეუძლია, მთელი სიცოცხლის განმავლობაში წამოაძახოს, თუ მას ცხოვრებაში რამე შეშლია და სწორად არ გაუკეთებია.**

ბოლო ხანს ყველა ქვეყანაში იზრდება ქალების მიერ ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში. ახალგაზრდა ქალები ქმნიან ბანდებს. მამაკაცების ჯგუფური გაუპატიურება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში. დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში 100 მამაკაციდან ყოველწლიურად 2 მამაკაცზე ძალადობენ ქალები.

* * *

**მრავალი ქვეყნის კონსტიტუციაში გარანტირებულია მამაკაცისა და ქალის თანასწორობა კანონის წინაშე. მიუხედავად იმისა, ერთი და იგივე, თუნდაც მძიმე დანაშაულისთვის მოსამართლეებს ქალებისთვის გამოაქვთ გაცილებით მსუბუქი სასჯელი, ვიდრე მამაკაცებისთვის. სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთისა და ჩვენი ქვეყნის სასამართლო პრაქტიკაში ამის უამრავი შემთხვევა არსებობს.**

ზოგჯერ თვით კანონი იძლევა ამის საშუალებას – ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით არ შეიძლება, ქალის დასჯა სიკვდილით ან მუდმივი პატიმრობით. თანასწორობა დარღვეულია იმ მხრივაც, რომ ქალებს შეუძლიათ თავისუფლად განაგონ თავიანთი ცხოვრება, მამაკაცებს კი ამის უფლება არა აქვთ. ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, ვაჟი 18 წლის მიღწევისას ვალდებულია, თავისი სურვილისგან დამოუკი-

## მაინც, რატომ ცოცხლობენ ქალები მამაკაცებზე მეტხანს

დებლად გაიაროს სამხედრო სამსახური (შეიარაღებულ ძალებში). ასე რომ, გენდერული თანასწორობა ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც შეუძლებელია, მაგრამ მაინცდამაინც სამზარეულოში ვეძებთ გენდერული თანასწორობის დარღვევებს – ვინ მეტ დროს ანდომებს კერძის კეთებას ან ჭურჭლის რეცხვას – ცოლი თუ ქმარი, ვინ უცვლის პამპერსს ახალშობილს – მამა თუ დედა და ა. შ. **ხშირად ბუნების მიერ ქალისათვის, როგორც დედისა და მეუღლისთვის, დაკისრებულ მოვალეობებშიც კი გვინდა, უთანასწორობა დავინახოთ და სამედიცინო სასწორით სკრუპულოზურად ავწონოთ ყველაფერი. თუ ასეთი საწყაოთი მივუდგებით, რომელ თანასწორობაზე შეიძლება საუბარი, როდესაც ქალები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მამაკაცებთან შედარებით საკმაოდ ხანგრძლივად ცოცხლობენ, პენსიაზე კი საკმაოდ ადრე გადიან. საქართველოში ქალები თითქმის 10 წლით მეტს ცოცხლობენ მამაკაცებთან შედარებით, ხოლო პენსიაზე გადიან 5 წლით ადრე – ქალები 60-ის, მამაკაცები კი 65 წლის მიღწევისას.** ზოგიერთ ქვეყანაში უკვე გამოდიან საპენსიო კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციის წინააღმდეგ და ათანაბრებენ მამაკაცისა და ქალის საპენსიო ასაკს. მაგალითად, **გერმანიასა და იაპონიაში ერთნაირი საპენსიო ასაკია დაწესებული.** იქნებ სიმართლეს არ იყოს მოკლებული ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრება, რომ დემოგრაფიული კატასტროფის, ოჯახის კრახის, პირად ცხოვრებაში მილიონობით ადამიანის უამრავი უბედურების მიზეზი არის საზოგადოებაში გლობალური მატრიარქალური გადახრა, რომელიც მდგომარეობს მამაკაცების უფლების შელახვაში ყოველგვარი მამაკაცურის დათრგუნვაში, ათასწლეულობით გამოცდილი პატრიარქალური ოჯახური მოდელის უარყოფაში, რაც აყვანილია საზოგადოებრივი იდეის რანგში.

რა თქმა უნდა, შორსა ვართ იმ აზრისგან, რომ გენდერული თანასწორობის რეალურ, გონივრულ მასშტაბებზე ვთქვათ უარი. ორი აზრი არ არსებობს იმის შესახებ, რომ მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობისთვის ბევრი რამ არის გასაკეთებელი და, შეიძლება ითქვას, წინ უფრო მეტი სამუშაო გველის, ვიდრე გავაკეთეთ.

კვლევების შედეგებმა, რომლებიც შეეხებოდა დაქორწინებულ პირებს შორის იძულებით სქესობრივ კავშირს, ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები გამოიწვია. მაგალითად, რუმინეთში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია ქალის მიერ კანონიერი მეუღლის წინააღმდეგ საქმის აღძვრა. ასეთი ცვლილებები, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სასაცილოა. თუკი ძალდატანებითი სქესობრივი კავშირი მეუღლეებს შორის ცოლის ცემითა და სხეულის დაზიანებით მთავრდება, ეს ისე-

დაც ისჯება კანონმდებლობით, ხოლო სხვა შემთხვევაში ძალდატანების ხარისხი ვზომოთ თუ მოწმეები მოვიყვანოთ? **ცოლი ქმარს 2-3 წლით ციხეში რომ ჩასვამს, ასეთი ოჯახი, ფაქტობრივად, დანგრეულია. როდესაც ცოლ-ქმარს აღარ შეუძლიათ პატივი სცენ ერთმანეთს და გამუდმებით კონფლიქტი აქვთ, მათი შვილებიც ითრგუნებიან. ასეთ შემთხვევაში, ჯობს, დროულად დაშორდნენ.**

სპეციალისტებმა გაარკვიეს, რომ მამაკაცი სექსუალურად უფრო აქტიურია, ვიდრე ქალი. ახალგაზრდა გოგონები კი გამომწვევად იმოსებიან – ქუჩაში, სამსახურში, სასწავლებელში, შინ თუ გარეთ, ფაქტობრივად, შიშვლები დადიან და ამით ფსიქოლოგიურ სექსუალურ ძალადობას ახდენენ ვაჟზე, რომელიც ეჩვევა მათ სიშიშვლეს და მისთვის საინტერესო აღარაფერი რჩება ქალში.

ცნობილი ქართველი პოეტი **იოსებ გრიშაშვილი** იგონებს: ორთაჭალის აბანოებში მორიგეობის ერთი დღე იყო ქალებისა და მეორე დღე – მამაკაცების. ქალების დღეს აბანოებში მისასვლელ ქვაფენილებზე ხელოსნები სისხამ დილით წყალს ასხამდნენ, ქალებს



გრძელი კაბები რომ აეწიათ და მათი კოჭები დაენახათ. 1920-იან წლებში, როგორც ამერიკელი ფსიქოლოგი **დევიდ მაიერსი** აღნიშნავს, როდესაც ქალებმა კაბა პირველად აიწიეს მუხლამდე, შიშველი ფეხი იყო მსუბუქი ეროტიკული სტიმული. ამჟამად კი გოგონებმა საერთოდ დაივიწყეს კაბის ჩაცმა და შორტებიც ისე დაამოკლეს, რომ, ფაქტობრივად, ტრუსებს, უფრო სწორად, ბიკინებს დაამსგავსეს, ჭიპი კი მთლიანად მოიშიშვლეს. მოკლედ, მივიღეთ **ჭიპშიშველი გოგონები და დაკოდილი ვაჟები**.

ხშირად მოჰყავთ ხოლმე ჩვენი ცნობილი მწერლის ნოდარ დუმბაძის ნათქვამი ახალგაზრდების ჩაცმულობაზე იმ პერიოდში, როდესაც, მართლაც ზედმეტად იყო რეგლამენტირებული ეს საკითხი: ახალგაზრდობა რას ჩაიცვამდა და როგორ, ამას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, ისინი როგორი განათლებული და აღზრდილები იქნებიან. მაგრამ ნოდარ დუმბაძეს არ უთქვამს, ქუჩაში შიშველი იარეთ, წარბები, ცხვირი, ტუჩები, ენა გაიხვრიტეთ და სამკაულები ჩამოიკიდეთ, ხოლო თავი, ტანი და ფეხები ერთიანად მოიხატეთო. შეიძლება ვცდები, მაგრამ ღრმად მწამს: ასეთ გოგონებს ინტელექტის ნატამალიც არა აქვთ და მათ ვერც ეროვნული ტრადიციების მქონე ოჯახების შექმნას მოვთხოვთ, ვერც 2-3 შვილის გაჩენასა და ეროვნული სულისკვეთებით აღზრდას.

* * *

ბოლო ხანს მნიშვნელოვნად შეიცვალა მოკვდავობის მაჩვენებლები ასაკისა და სქესის მიხედვით. გამოიკვეთა მეტად საგანგაშო ტენდენცია – იზრდება მამაკაცის მოკვდავობის დონე ყველაზე უფრო შემოქმედებით, მწარმოებლურ ასაკში – 20-29 წლებში, რაც გამოიხატება მათი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მნიშვნელოვნად შემცირებაში. **1960 წელს 20-დან 59-მდე წლის 6545 ადამიანი გარდაიცვალა, მათ შორის, 3812 მამაკაცი (გარდაცვლილთა 58,2 პროცენტი) და 2733 ქალი (41,8 პროცენტი). 2013 წელს სურათი საგრძნობლად შეიცვალა – გარდაიცვალა ამ ასაკობრივი ჯგუფის 8807 წარმომადგენელი, მათგან 6475 მამაკაცი (73,5 პროცენტი), 2332 – ქალი (26,5 პროცენტი). ამრიგად, ყველაზე უფრო მწარმოებლურ ასაკში გარდაცვლილებში მამაკაცების წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა.** 1960 წელს ქალები საშუალოდ 6,7 წლით მეტს ცოცხლობენ მამაკაცებზე, 2008 წელს კიდევ – 9,7 წლით. უნდა ითქვას, რომ თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში მამაკაცი გაცილებით მეტი იღუპება, ვიდრე ქალი.

სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობის პირობებში საქართველოში ამჟამად არსებული საპენსიო ასაკის მიხედვით (ქალი – 60 წელი, მამაკაცი – 65 წელი) ქალი პენსიას მიიღებს 2013 წლის შემდეგ – 22,1 წლის, ხოლო მამაკაცი – 15,1 წლის განმავლობაში. ქალები, რომლებმაც მიაღწიეს 50 წელს, საშუალოდ კიდევ იცოცხლებენ 31,6 წელს, ვინც 70 წელს მიაღწია – 15,0 წელს, ვინც 80 წელს მიაღწია – 9,4 წელს. შესაბამისი მაჩვენებლები მამაკაცებისთვის კი უდრის 25,4; 12,2 და 8,.4 წელს.

ამ მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ახალგაზრდა მამაკაცთა მოკვდავობა მაღალია. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ახალგაზრდა მამაკაცების გარდაცვალების შედეგად ხშირად ვერ ნაზღაურდება სახელმწიფოსა და ოჯახის მიერ მათზე გაწეული დანახარჯები და, რაც მთავარია, ბავშვები იზრდებიან მამის გარეშე. უმამო ბავშვების აღზრდა ძნელია, ისინი ჩამორჩებიან სწავლაში, ხდებიან აგრესიულები და სხვ.

საქართველოში ვაჟის კულტი ოდითგანვე იყო გავრცელებული – ადამიანებს სურთ ვაჟი მეტი ჰყავდეთ, ვიდრე გოგონა. მაგრამ ადამიანების სურვილზე როდია დამოკიდებული ვაჟის ან ქალის დაბადება. ბუნებამ მკაცრად დააპროგრამა სქესთა თანაფარდობა. **მსოფლიოში ყოველ 100 დაბადებულ გოგონაზე 105-107 ვაჟი იბადება, ასეა ყველგან და გამონაკლისი არც ჩვენი ქვეყანაა. თუმცა, ამჟამად საქართველოში ყოველ 100 ქალზე 91,2 მამაკაცი მოდის.**

ქალებს სუსტ სქესს უწოდებენ. ეს გამოთქმა, თუ ფიზიკურ ძალას გავითვალისწინებთ, სწორია, მაგრამ დემოგრაფიული თვალსაზრისით, სუსტი სქესის წარმომადგენლები მამაკაცები უფრო არიან: ერთ წლამდე ვაჟი გაცილებით მეტი იღუპება, ვიდრე გოგონა. 1989-2013 წლებში, ანუ 25 წლის განმავლობაში საქართველოში ერთ წლამდე ბავშვის გარდაცვალების 30160 შემთხვევა აღირიცხა. მათგან 17572 იყო ვაჟი, 12588 – გოგონა, ანუ ამ წლებში 4989 ვაჟით მეტი გარდაიცვალა, ვიდრე გოგონა. ამ ფაქტს მიაწერენ ქალის ორგანიზმის უფრო დიდ ბიოლოგიურ სიცოცხლისუნარიანობას, რომელიც გამოუმუშავდა ათასწლეულების განმავლობაში. ანალოგიური მაჩვენებლით ხასიათდება მკვდრადშობადობაც. კერძოდ, 2005-2014 წლებში, ანუ ათ წელიწადში საქართველოში მკვდარი დაიბადა 6314 ბავშვი, მათგან 3399 – ვაჟი და 2915 – ქალი, ანუ 484 ვაჟით მეტი.

**ამრიგად, ერთ წლამდე ვაჟი გაცილებით მეტი იღუპება, ვიდრე გოგონა, მკვდრადშობილთა შორისაც ვაჟების რაოდენობა ჭარბობს, ხანდაზმული ასაკის მამაკაცებიც გაცილებით მეტი იღუპებიან,** მაგრამ ამას ბევრ ვერაფერს ვუშველით, ყოველ შემთხვევაში მედიცინის განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ეს ჩვენი სიცოხლის ბიოლოგიური მხარეა.

**მამაკაცების მოკვდავობის მაჩვენებლების მატება გამოიწვია იმ პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა მძიმე ვითარებამ, რომელსაც აგერ უკვე 25 წელია, თავი ვერ დავაღწიეთ.** უმუშევრობით გამოწვეულმა სტრესებმა განსაკუთრებით მამაკაცებზე იქონია დამღუპველი გავლენა. მამაკაცებმა ვერ მოახერხეს ოდნავ მაინც შესაფერისი სამუშაოს პოვნა. ათასობით გათხოვილი ქალი კი ოჯახის რჩენის მიზნით სამუშაოდ წავიდა საზღვარგარეთ, დაირღვა ოჯახური ცხოვრების რიტმი. ბევრი უმუშევარი მამაკაცი ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის ტყვე აღმოჩნდა. ცნობილია ისიც, რომ მამაკაცები ნაკლებად ზრუნავენ თავიანთ ჯანმრთელობაზე.

ყოველგვარი ძალადობის გამოვლენა ძირითადად ოჯახის წევრების ურთიერთობებზე, მათ ურთიერთპატივისცემაზეა დამოკიდებული. ოჯახი სიყვარულით უნდა შეიქმნას და იქ, სადაც სიყვარული არ არის, შეიძლება ძალადობამ დაისადგუროს. ამასთანავე, მეუღლეთა შორის ფუნქციების სწორი განაწილება ოჯახური სიმყუდროვის, ოჯახის სიმამრის საფუძველია ისევე, როგორც თვით ასეთი ოჯახია საზოგადოების საფუძველი.

ამჟამად ოჯახური ურთიერთობების სფეროში სრულ გენდერულ თანასწორობაზე საუბრობენ და დაივიწყეს ოჯახის უფროსის ინსტიტუტი, რომელიც თითქოს ოჯახში ძალადობის, ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობაში მკაცრი დისციპლინის საწყისია, როგორც ეს იყო ფეოდალურ საზოგადოებაში. რა თქმა უნდა, დემოკრატიული ოჯახი უპირატესად ეფუძნება ცოლისა და ქმრის თანაბარ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებისას, მაგრამ იქნებ მამაკაცს დაუტოვოთ ცოტაოდენი უპირატესობა და ამით ბევრი გაუგებრობა ავიცილოთ თავიდან. თავისთავად ოჯახური პრობლემის გადაწყვეტაში „თანაბარი მონაწილეობა" წინააღმდეგობასაც შეიცავს და პრობლემა შეიძლება, გადაუწყვეტელი დარჩეს.

როცა საოჯახო საკითხების გადაწყვეტაში მამაკაცი დომინირებს, მით უმეტეს, როდესაც ის მეუღლეზე უფროსი და განათლების დონით მაღალია, ოჯახის ნორმალური ფორმირება-განვითარებისთვისაც უკეთესია და საზოგადოებისთვისაც, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ შვილების ნორმალური აღზრდისთვის დედამ ოჯახში უნდა შექმნას მამის ავტორიტეტი, ეს მით უფრო გასათვალისწინებელია, რომ დღევანდელ საზოგადოებაში ბავშვების აღზრდის მთელი სიმძიმე ქალებს აწევთ – უპირველეს ყოვლისა, დედებსა და ბებიებს, ამასთანავე, ბავშვთა ბაგა-ბაღებში აღმზრდელები ქალები არიან და სკოლებში კიდევ 80 პროცენტზე მეტი მასწავლებელი ქალია. **მამაკაცური ხასიათის ჩამოყალიბებაში, რაც აუცილებელია ვაჟისთვის, მამაკაცის ავტორიტეტს ოჯახში დიდი მნიშვნელობა აქვს.**

ზემომოყვანილი ფაქტებისა და მონაცემების გათვალისწინებით, მამაკაცის ცხოვრება ერთობ მძიმეა, ამიტომ, ქალებო, გაუფრთხილდით მამაკაცებს!



**ანზორ თოთაძე,**
**დემოგრაფი, პროფესორი.**



# ბოსტნეული – 22,4 პროცენტით, თამბაქო – 6,2 პროცენტით, ტრანსპორტი 7,2 პროცენტით გაძვირდა

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, 2017 წლის იანვარში ტრანსპორტი, სურსათი და სასმელები გაძვირდა.**

2016 წლის იანვართან შედარებით კი ფასებმა თითქმის 4 %-ით მოიმატა. საქსტატის მონაცემებით, ფასები ყველაზე მეტად გაიზარდა ტრანსპორტზე – 7.2% ით, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე 6.2%,-ით, სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე – 4.2%. ბოსტნეული და ბაღჩეული 22,4 %-ით გაძვირდა, ხილზე ფასმა 8,9 %,-ით მოიმატა, რძე, ყველი, კვერცხი, ასევე ზეთი და ცხიმი კი 3,1 %,-ით გაძვირდა. თევზეული – 2,8 %,-ით, ხორცისა და ხორცის პროდუქტები კი – 2,5 %,-ით.

# ქართული უნაკერო მილები ევროკავშირის ბაზარზე




**რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ, პირველად თავისი არსებობის ისტორიაში, ევროკავშირის საერთაშორისო ბაზარზე უნაკერო მილები საკუთარი ბრენდით გაიტანა. ქვეყნები, სადაც უნაკერო მილები ექსპორტზე გავა, არის იტალია, გერმანია, პოლონეთი, ბულგარეთი და უნგრეთი. პირველი შეკვეთის მოცულობა 2000 ტონას შეადგენს.**

ამ ეტაპზე უნაკერო მილების ექსპორტი ხორციელდება აზერბაიჯანის, ყაზახეთის და უკვე ევროკავშირის ბაზრებზე. 2017 წელს დაგეგმილია 25 000 ტონის რეალიზება და ასევე საკუთარი ბრენდით, უნაკერო მილების ექსპორტი ამერიკისა და რუსეთის ბაზრებზე. აღნიშნული მილები გამოიყენება მაგისტრალური მილსადენების მშენებლობისთვის, თხევადი და აირადი ნივთიერებების დიდ მანძილზე ტრანსპორტირებისთვის, ასევე გაზისა და ნავთობის ჭაბურღილების ექსპლოატაციის, მანქანათმშენებლობისა და ზოგადტექნიკური მიზნებისთვის.

# მინდელის ქუჩაზე ავარიულ საცხოვრებელ კორპუსს ამაგრებენ



**თბილისის მერი დავით ნარმანია კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსთან გივი კუბლაშვილთან და ვაკის რაიონის გამგებელთან ნოდარ ტურძელაძესთან ერთად მინდელის ქუჩაზე ავარიული საცხოვრებელი კორპუსის გამაგრების სამუშაოებს გაეცნო.**

თბილისის მერი ავარიული კორპუსის მცხოვრებლებს შეხვდა და შენობის გამაგრების სამუშაოების მიმდინარეობაზე ესაუბრა.

ვაკის რაიონში, მინდელის №1-ში, მე-3 ხარისხის დაზიანების საცხოვრებელი სახლის გამაგრების სამშენებლო სამუშაოებს მერიის კონტრაქტორი კომპანია შპს „გრანიტი" აწარმოებს. გასული საუკუნის 80-იან წლებში აშენებული 17-სართულიანი კორპუსის სექცია გადახრილია 24 სანტიმეტრით და ნაგებობას გააჩნია საძირკვლის ჯდენები. მიმდინარე ეტაპზე ხორციელდება ხიმინჯების მოწყობის სამუშაოები. პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია 306 ხიმინჯის მოწყობა. ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრების სამუშაოები მიმდინარე წლის ივნისში დასრულდება. დედაქალაქის ბიუჯეტიდან პროექტზე 600 000 ლარი დაიხარჯება. სამშენებლო სამუშაოებს მერიის კონტრაქტორი კომპანია შპს „გრანიტი" აწარმოებს. გამაგრებითი სამუშაოები ამჟამად კიდევ 9 ავარიულ სახლს უტარდება.

# საოპერო სცენის ტრიუმფატორი

## მიხეილ ნანობაშვილი (მიშელ დარიალი)



**1924 წელია, პარიზის „გრანდ-ოპერის“ თეატრში ოპერა „კარმენის“ პრემიერაა დანიშნული,. არადა, სპექტაკლი არ იწყება. დამსწრე პარიზის ელიტური საზოგადოება მღელვარებამ მოიცვა. დარბაზი ახმაურდა, აქეთ-იქიდან გაისმა უკმაყოფილო შეძახილები. ამ დროს, სცენის ფარდის წინ გამოდის ხოზეს როლში გამოწყობილი ქართველი მომღერალი მიხეილ ნანობაშვილი (მიშელ დარიალი) და დარბაზს მიმართა: „პატივცემულო საზოგადოებავ! დიდ ბოდიშს გიხდით სპექტაკლის დაგვიანებისთვის, მაგრამ უნდა მოგახსენოთ ერთი არასასიამოვნო სიტუაციის შესახებ. ამჟამად, ამ წუთში, თავისუფლების მოყვარე ჩემს პატარა ქვეყანაში, საქართველოში, აგრესორი რუსეთის მიერ სადამსჯელო ღონისძიებები ტარდება, იღუპება უდანაშაულო ხალხი. სპექტაკლი არ დაიწყება მანამ, სანამ ოკუპანტი ქვეყნის წარმომადგენელი დარბაზში იქნება“ და მან ერთ-ერთ ლოჟაში მყოფ საბჭოთა კავშირის ელჩზე — კრასინზე მიუთითა. აღშფოთებულმა მაყურებელმა ელჩი დარბაზიდან გააძევა და მიხეილის საქციელი ოვაციებით გამოხატა. სპექტაკლმა უდიდესი წარმატებით ჩაიარა. შინაგანი ემოციებით აღფრთოვანებულმა და სულიერად ამაღლებულმა მიშელ დარიალმა სულ სხვა ხარისხით წარმოაჩინა დონ ხოზეს პარტია. რამდენიმეჯერ გაამეორებინეს ოპერის ცნობილი არია. მაყურებელი დიდხანს არ უშვებდა მას სცენიდან. მიხეილის მხრიდან ეს იყო გაბედული, გმირობის ტოლფასი ნაბიჯი, მაგრამ სამშობლოს მოწყვეტილ და მონატრებულ მომღერალს მაშინ ამაზე არ უფიქრია. მან გააკეთა ის მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც იმ დროს იყო შესაძლებელი.**

ნანობაშვილები წარმოშობით ქიზიყიდან, სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირიდან არიან. მიხეილი ერთი ცნობით ამ სოფელში, ხოლო სხვა წყაროებით ქ. თელავშია დაბადებული 1878 წელს. მამამისი იროდიონ ნანობაშვილი, ამიერკავკასიის რკინიგზის მღვდელი, შესანიშნავი ხმით გამოირჩეოდა და ეგზარხოსის მიერ ჩამოყალიბებულ გუნდში მღეროდა. მიხეილს ბავშვობიდანვე დაჰყვა სიმღერისადმი ინტერესი და სიყვარული. სოფელ ვაქირში პაპა-ბებიებთან ყოფნის დროს ხშირად გაიგონებდით პატარა ბიჭუნას წკრიალა ხმას, რაც შემდეგ თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიაში სწავლის დროს, მოსწავლეთა გუნდში მისი აქტიური მონაწილეობით გაგრძელდა.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მიხეილ ნანობაშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ხდება, მაგრამ სიმღერის ტრფიალი, მისდამი განსაკუთრებული ლტოლვა არ ასვენებს, ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულმა, შესანიშნავი მონაცემების მქონე ახალგაზრდამ ოცნების განსახორციელებლად 1896 წელს პეტერბურგის კონსერვატორიას მიაშურა, სადაც იმ მომენტში იტალიიდან ჩამოსული, ცნობილი და აღიარებული პედაგოგები მოღვაწეობდნენ. ულამაზესი ტემბრის და დიაპაზონის მქონე მიხეილი კომპეტენტურმა კომისიამ კონსერვატორიაში თავისუფალ მსმენელად დაუშვა. იგი მუსიკამ ისე გაიტაცა, რომ მესამე კურსიდან უნივერსიტეტი მიატოვა და პროფესორ გაბელთან სიმღერის სწავლას შეუდგა. და აი, უკვე 1898 წელს მიხეილი პეტერბურგის მარიას საიმპერატორო თეატრში 15 კონკურსანტს შორის ამოარჩიეს, როგორც საიმედო მონაცემების მქონე მომღერალი. კონკურსის შემდეგ „პეტერბურგსკაია გაზეტა“ წერდა: **„დიდი ყურადღების ღირსია ტენორი ნანობაშვილი. მას ხმა თანაზომიერი, ძლიერი და ლამაზი აქვს. „ჟიდოვკას“ ოპერიდან ელიაზარის ძნელი არია თავისუფლად შეასრულა. სამწუხარო იქნება, თუ ეს მშვენიერი ხმა არაპროფესიონალი და უცოდინარი კაცის ხელში ჩავარდება“.** ამის შემდეგ მიხეილი მეცადინეობას იწყებს ვოკალური ხელოვნების ვირტუოზთან, „სიმღერის ღმერთად“ აღიარებულ ფერნი ჯირალდონთან, რომელიც ქართველების სიძის, განთქმული იტალიელი ბარიტონის ევგენი ჯირალდონის დედა გახლდათ.

1899 წელს მიხეილმა პეტერბურგსა და ოდესაში შობის წინ გამართულ ქართულ საღამოებში მიიღო აქტიური მონაწილეობდა და დამსწრეთა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

უკვე 1901 წელს პეტერბურგში მოღვაწე აკაკი წერეთლის ვაჟმა ალექსიმ მიხეილი ხარკოვში მიიწვია მელიტონ ბალანჩივაძის ოპერა „თამარ ცბიერში“ მონაწილეობის მისაღებად. იმავე წლის ზაფხულში ფერნი ჯირალდონმა ნანობაშვილი ვოკალური ხელოვნების მექაში, იტალიაში წაიყვანა, მილანში თავის ვაჟიშვილს და ცნობილ პედაგოგებს წარუდგინა და სიმღერის იტალიური სკოლის დაუფლების საშუალება მისცა.

ქართველი კაცის ნიჭიერება უდავოდ მონახავს თავის ადგილს, თუ მას გარემოება შეუწყობს ხელს, შესაფერის სწავლა-განათლებას მიიღებს და თავისი შესაძლებლობების გამომჟღავნების საშუალება და ასპარეზი მიეცემა. ამის უამრავი მაგალითი არსებობს. საოპერო პარტიების შესწავლის და ბრწყინვალე დებიუტის შემდეგ, მიხეილი მილანის და იტალიის სხვა ქალაქების კერძო თეატრებში გამოდის დიდი წარმატებით.

1903 წელს იგი პარიზში გადადის. 1906 წელს მან გაიცნო და თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა პიანისტ ჟანეტ კენოს, რომელთან ერთადაც სოლო კონცერტებით შემოიარა მთელი საფრანგეთი. ერთი წლის შემდეგ მიხეილი მეუღლესთან ერთად 2 თვის განმავლობაში კონცერტებით გამოდის დიდებულ საკურორტო ქალაქ მონტე-კარლოში, სადაც უმალ მიიქცია საზოგადოების ყურადღება და დიდი მოწონება დაიმსახურა. მას მქუხარე ოვაციებით შეხვდნენ სანტ-ეტიენში გასტროლების დროსაც.

1908 წლიდან მიხეილი მიშელ დარიალის ფსევდონიმით, პარიზის „გრანდ-ოპერის“ თეატრის დასის წევრია. მომდევნო წლის მაისში ქალაქ ლავალს ესტუმრა და „ფავორიტ ქალში“ იმღერა მთავარი პარტია. პარიზში დაბრუნებისთანავე თანამემამულეებმა ქართულ საღამოზე მიიწვიეს. აქ მან, სხვა ნაწარმოებებთან ერთად, ქართული სიმღერებიც შეასრულა.

1910 წლის მარტსა და აპრილში დარიალი არტისტულ ტურნეში მონაწილეობდა ბალკანეთის ქალაქებსა და სტამბოლში. იმავე წელს 2 თვის განმავლობაში ალჟირში გამოდიოდა მეუღლესთან ერთად. მის გამოსვლებს ყველგან წარმატება ჰქონდა. მომდევნო წელს მიხეილი საქართველოს ეწვია და რამდენიმე კონცერტი გამართა. აგრეთვე მონაწილეობა მიიღო სახაზინო თეატრის წარმოდგენებში: იმღერა რაულის პარტია მეიერბერის ოპერა „ჰუგენოტებში“ და ფაუსტის პარტია გუნოს „ფაუსტში“. მის გამოსვლებს ხალხი აღტაცებით და ოვაციებით შეხვდა. მისი ძლიერი და ლამაზი ტემბრის ლირიკო-დრამატული ტენორი შთამბეჭდავად ჟღერდა ყველა რეგისტრში, რაც მიხეილის მიერ შექმნილ სცენურ სახეებს უფრო გამოკვეთდა და დიდ გამომსახველობას სძენდა. გაზეთი „ზაკავკაზსკაია რეჩი“ იუწყებოდა: **„ჩვენი თანამემამულე უკვე გამოვიდა სახაზინო თეატრში რაულის და ფაუსტის როლში და თბილისელ მაყურებელთა სიმპათიების მოპოვება მოასწრო. არტისტს მოუწყვეს დამსახურებული მქუხარე ოვაციები“,** ხოლო გაზეთი **„თემი“ იტყობინებოდა: „მას ნიჭიერი მომღერლის სახელი აქვს დამკვიდრებული პარიზის, ბუქარესტის, სტამბულის, პეტერბურგის, მონტე-კარლოს, ნიცას და ევროპის სხვა ქალაქების სცენებზე, სადაც იგი ხშირად გამოდის. ეს სიმპატიური მომღერალი გაზაფხულზე ხელახლა მიემგზავრება პარიზში, იქ მაისსა და თიბათვეში იმღერებს რუსულ ოპერებში, რომელიც წარმოდგენილ იქნება ფრანგულ ენაზე“.** საქართველოში ყოფნის დროს ნანობაშვილი ეწვია ქუთაისს, ბათუმსა და ბაქოს, სადაც საქველმოქმედო საღამოებში მონაწილეობდა. წასვლის წინ თბილისში გამოსათხოვარი კონცერტი გამართა და საქართველო დატოვა, პარიზს გაემგზავრა.

პარიზის „გრანდ-ოპერის“ პრემიერის ქება-დიდება მალე ამერიკასაც გადასწვდა, სადაც იგი 1911-12 წლების სეზონზე გამოდიოდა დიდი წარმატებით. ამავე პერიოდში დარიალმა კანადის ქალაქ ტორონტოსა და მონრეალში ოპერა „ფაუსტში“ იმღერა. სპექტაკლმა ანშლაგით ჩაიარა და დიდი აღიარება მოუტანა. 1914 წელს იგი ნიცის „ჟეტე პრომენად ლა პლაჟის“ სცენაზე ზედიზედ ხუთჯერ გამოდის და ისეთ მოწონებას იმსახურებს, რომ გასტროლები ერთი თვით გაუგრძელეს. იმავე წლის ზაფხულში დარიალი პირენეის მთებში ქალაქ ლუშენში მიიწვიეს, სადაც ოცდაათი დღის განმავლობაში 12 კონცერტი გამართა, ზამთრის სეზონში ამერიკის ქალაქ ვინცბურგში გამოდის. ამის შემდეგ მიხეილი თავის ძირითად თეატრს უბრუნდება პარიზში. იქ იგი უდიდესი წარმატებით მღერის სხვადასხვა ოპერებში. დროდადრო მიშელ დარიალი ქალაქ ნიცაში ჩადის და დიდი წარმატებით მართავს კონცერტებს.

მიხეილის ყველაზე დიდი ოცნება სამშობლოში სამუდამოდ დაბრუნება იყო. მას სურდა თავისი ოჯახით: მეუღლით და ქალვაჟით საქართველოში ჩამოსულიყო და აქ გაეგრძელებინა თავისი სასიმღერო მოღვაწეობა. რა უნდა ექნა მსოფლიოში მიშელ დარიალად წოდებულ იშვიათ ტენორს? არაერთი მცდელობის მიუხედავად, ზოგიერთი ქართველის გულცივობითა და უყურადღებობით დახშული საზოგადო ასპარეზი და მშობლიური სცენის „სივიწროვე“ ამის საშუალებას არ აძლევდა საქვეყნოდ აღიარებულ მომღერალს.

1920 წელს მიხეილი ისევ ჩამოდის თბილისში, სახელმწიფო თეატრში ვერტერს მღერის და თავისი გასაოცარი ხმით თანამემამულეებს ხიბლავს. თბილისში დარიალმა იმღერა ოპერებში — „რახილი“, „მანონი“, „ტოსკა“, „ფაუსტი“, „კარმენი“ და „ჰუგენოტები“. ყველა პარტია საუკეთესოდ შეასრულა, შეიძლება ითქვას სიმღერის კლასი აჩვენა და აღფრთოვანებული ოვაციები დაიმსახურა. „პუგენოტებში“ მის მიერ შესრულებული რაულის პარტიის შესახებ „ტენორის“ რეცენზიაში ვკითხულობთ: **„ნანობაშვილის რაული რაღაც არაჩვეულებრივი იყო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი რაული დიდი ხანია, არ უნახავს თბილისის საზოგადოებას... ყოველივე მისი არია აღტაცებას იწვევდა მსმენელში და ტაშით აჯილდოებდა ღირსეულ მომღერალს“.**

სამშობლოში ყოფნის დროს მიხეილმა დავით აკოფაშვილთან და სოფიო აბაშიძესთან ერთად დასავლეთ საქართველოშიც იმოგზაურა კონცერტებით. 1920 წლის 15 ივნისს თბილისის საოპერო თეატრში მას ბენეფისი გადაუხადეს. ქართული პრესა ფართოდ აშუქებდა მის გამოსვლებს, სადაც უმაღლესად იყო შეფასებული დარიალის გასტროლები. იმავე წლის შემოდგომაზე იგი თელავს ესტუმრა, თავისი დედულ-მამული მოინახულა და ეწვია წინაპართა ადგილებს სოფელ ვაქირში.

ამჯერადაც ქართველმა საზოგადოებამ იმედი გაუცრუა დიდ ხელოვანს, სამშობლოში დასარჩენად ვერაფერი შესთავაზა. და აი, 1920 წლის ბოლოს მიშელ დარიალი სამუდამოდ გამოემშვიდობა საქართველოს და საფრანგეთში დაბრუნდა. სრულიად სამართლიანად აღშფოთებული გ. ლობჟანიძე მაშინ წერდა: **„საქართველოს საოპერო სცენამ დაჰკარგა ერთ-ერთი დიდი კულტურული, განვითარებული ხელოვანი და ევროპულ სკოლას ნაზიარები არტისტი. განა ვინმეს დაავიწყდება მის მიერ განხორციელებული მრავალტანჯული ვერტერი, შმაგი დონ ხოზე, ებრაელი ელიაზარი და მრავალი სხვა. მეცო-დამახასიათებელი ტენორი, შთამბეჭდავი ბელ კანტოთი, მკაფიო დიქციით, წმინდა ფრანგული აქცენტით და იშვიათად დაყენებული ხმით?“**

თავის სათაყვანებელ ქვეყანაში კარს მოხურულ მიხეილს გზა გახსნილი ჰქონდა მთელს ევროპაში, ამერიკაში, რუსეთსა და თურქეთში. 1921 წლის პირველ ნახევარში იგი ქალაქ ბატცში, ნოემბერ-დეკემბერში კი ბარსელონაში გამოდის. 1924 წელს „გრანდ-ოპერის“ არტისტი, სადაც 16 წლის განმავლობაში ამ თეატრის პრემიერი იყო, ესპანეთის ქალაქ მადრიდში მიიწვიეს საგასტროლოდ, ხოლო ერთი წლის შემდეგ უკვე საქვეყნოდ ცნობილი და აღიარებული მომღერალი „კომედი ფრანცეზის“ თეატრში გამოდის უდიდესი წარმატებით. იმდენად დიდი იყო მისი დამსახურება და როლი ფრანგული კულტურის განვითარებასა და პოპულარიზაციაში, რომ სხვა სახელგანთქმულ ხელოვანთა მსგავსად, მიშელ დარიალის ფოტო საფოსტო ბარათებზეც კი განათავსეს.

მიხეილი დიდი მონდომებით და ინტერესით ეკიდებოდა უცხოეთში ქართული მუსიკის წარმოჩენის საკითხს. თავისი ძმისგან ირაკლისგან, რომელიც აგრეთვე დაჯილდოებული იყო მუსიკალური მონაცემებით, გამუდმებით ითხოვდა ქართული ნაწარმოებების ნოტების გადაგზავნას. ქართული რომანსი დარიალის მიერ სულ სხვანარი ეშხით და ხასიათით ჟღერდა. თანამემამულეთა მიერ გამართულ საღამო-კონცერტებში, უკვე 1931 წლიდან, მასთან ერთად შვილიც მონაწილეობდა.

ბუდემოშლილმა, ნიჭიერმა ქართველმა მომღერალმა მიშელ დარიალმა დიდხანს შეინარჩუნა თავისი ბრწყინვალე ხმა — ლირიკო-დრამატული ტენორი. დიდი ექსპლოატაციისა და გადატვირთული გრაფიკის მიუხედავად, ხმას მისთვის არ უღალატია, ულამაზესი ტემბრი, ხმის სიძლიერე და სცენური ხიბლი ბოლომდე შემორჩა. 1935 წელს 57 წლის მიხეილი კიდევ მიიწვიეს ბარსელონაში, სადაც რუსულ ოპერა „კიტეჟში“ მონაწილეობდა. ყველა სპექტაკლი ანშლაგით მიდიოდა.

ბოლშევიკური მმართველობის დროს, მიხეილ ნანობაშვილის სახელი, როგორც ანტისაბჭოთა პროპაგანდისტისა, მივიწყებული იყო. ამიტომაცაა მწირი ინფორმაცია მის შესახებ. მხოლოდ 1951 წელს გამოჩნდა გაკვრით შალვა კაშმაძის ქართული ოპერის თეატრის ისტორიისადმი და 1962 წელს ვანო სარაჯიშვილისადმი მიძღვნილ წიგნებში, აგრეთვე ჩემ მიერ 2015 წელს გამოცემულ მონოგრაფიულ ნაშრომში — „ვანო სარაჯიშვილი — ლეგენდად ქცეული ორფევსი“. დარიალის შესახებ მოკლე ბიოგრაფიული მონაცემებია მოცემული ამირან ცამციშვილის 1958 წელს გამოქვეყნებულ მცირე მოცულობის წიგნში — „ხელოვნების ქართველი მოღვაწენი უცხოეთში“.

მიხეილ ნანობაშვილი (მიშელ დარიალი) ორმოც წელზე მეტხანს ემსახურა სასიმღერო ხელოვნებას თავისი გასაოცარი ნიჭიერებით. ტრიუმფით შემოიარა ევროპის, ამერიკის, რუსეთის, თურქეთის, საქართველოს და სხვა ქვეყნების საოპერო და საკონცერტო სცენები. სამწუხაროდ, ისტორიული ქარტეხილების და ადამიანთა უყურადღებობის მიზეზით, მის შესახებ სრული ბიოგრაფიული მონაცემები არ მოგვეპოვება. მან თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი საფრანგეთში გაატარა. იქ შექმნა ოჯახი. მას დარჩა შვილები. დარწმუნებული ვარ, მისი შთამომავლები დღესაც აგრძელებენ ცხოვრებას და საქმიანობას. შეიძლება, შემორჩენილია მიხეილის სრულყოფილი ბიოგრაფიული მონაცემები და სიმღერის ჩანაწერები. აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია მისი მოძიება და ასეთი პიროვნების საზოგადოებისათვის გაცნობა, მას ხომ წლების განმავლობაში შორს გაჰქონდა საქართველოს სახელი, ათასობით და ათიათასობით მსმენელს აცნობდა ქართველი კაცის გამორჩეულ ნიჭიერებას.

**გელა ქოქიაშვილი,**

**კულტურის დამსახურებული მუშაკი,**
**ღირსების ორდენის კავალერი,**
**ეკონომიკის დოქტორი,**
**ვანო სარაჯიშვილის**
**ფონდის ვიცე-პრეზიდენტი**

# ჩვენი მირონცხებული ხელმწიფეები

### იოვანე შავლიანი

დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მეფე 868-880 წლებში. სამეფო ძალაუფლება ხელთ იგდო შეთქმულებისა და უზურპაციის გზით, როცა გიორგი I გარდაიცვალა (868 წ.), მისივე ანდერძით, აფხაზეთის ტახტი უნდა დაეჭირა ძმისწულს – ბაგრატ დემეტრე II-ის ძეს, მაგრამ სასახლეში შეთქმულება მოეწყო და ბაგრატს მოკვლა დაუპირეს, მაგრამ უფლისწული სიკვდილს გადაურჩა და თავი კონსტანტინეპოლს შეაფარა. აფხაზეთის ტახტზე მთავარი შეთქმული იოვანე შავლიანი დაჯდა, მან შვილი ადარნასე ტახტის მემკვიდრედ გაამზადა – ცოლად სამხრეთ საქართველოს (ტაო-კლარჯეთის) გავლენიანი მთავრის გუარამ მამფალის ასული შერთო.

### ადარნასე შავლიანი

ძე იოვანე შავლიანისა. დასავლეთ საქართველოს მეფე 880-887 წლებში. მას ტახტი წაართვა და მოკლა დემეტრე II-ის ძემ ბაგრატმა და ცოლად შეირთო მისი დაქვრივებული მეუღლე, გუარამ მამფალის ასული.

### ბაგრატ I

დასავლეთ საქართველოს მეფის დემეტრე II-ის ძე, ბიძამისმა, მეფე გიორგი I-მა ბაგრატი ქართლის მმართველად დასვა, მაგრამ გიორგი მალე გარდაიცვალა და ბაგრატს შეთქმულებაში ბიცოლამ და მთავარმა შეთქმულმა იოვანე შავლიანმა მოკვლა დაუპირეს. ბაგრატი გადარჩა და კონსტანტინეპოლს შეაფარა თავი. გავიდა 19 წელი და ბაგრატ უფლისწული ბიზანტიური ჯარით დაეცა ქუთაისს, მოკლა ადარნასე შავლიანი, მისი ქვრივი, გუარამ მამფალის ასული ცოლად შეირთო და დაჯდა ხელმწიფედ 887 წელს. იმეფა 893 წლამდე. ამაოდ ცდილობდა თავისი გავლენა გაევრცელებინა ტაო-კლარჯეთზე.

### კონსტანტინე

ბაგრატ I-ის ძე, დასავლეთ საქართველოს მეფე 893-922 წლებში, 904 წელს მან „დაიპყრა ქართლი“. მაშინ გაერთიანდნენ ტაო-კლარჯეთის მეფე ადარნასე II და სომეხთა მეფე სუმბატი. ერთად შეებნენ და დაამარცხეს კონსტანტინე. მან სცადა მოწინააღმდეგეთა გათიშვა და სუმბატთან ცალკე გამართა მოლაპარაკება. მაგრამ ადარნასე ქართველთა მეფემ ეს დროზე შეიტყო და კონსტანტინე სწორედ „სეპარატისტული“ მოლაპარაკების დროს თვითონ სომხებს შეაპყრობინა და ანისის ციხეში ჩააგდებინა. ასეთი მუხანათობით გამწარებული მეგრელები“ „სამხრეთელ“ მეფეებზე შურის საძიებლად თავისთვის ახალ, კონსტანტინეზე ძლიერი მეფის არჩევას შეუდგნენ, ამან სუმბატ სომეხთა მეფე დააფრთხო, ტახტზე უფრო „თვინიერი“ კონსტანტინეს ყოფნა ამჯობინა და ტყვე საპყრობილიდან გამოუშვა. ამან ადარნასე განარისხა და სომეხთა მეფეს მტრად მოეკიდა. 920 წელს კონსტანტინემ კვირიკე კახთა ერისთავის მიწვევით ჰერეთში ილაშქრა. ჰერეთის ერისთავმა ადარნასემ ჯვრით ხელში სცადა სისხლისღვრის აღკვეთა. კონსტანტინემ ორი ციხე ჩაიბარა ჰერეთში – არიში და გავაზი, კვირიკემ ორჭობის ციხე მიიღო. ამის შემდეგ მალე, 922 წელს, კონსტანტინე გარდაიცვალა და სამეფო ტახტისთვის ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მისი შვილები გიორგი და ბაგრატი.

### გიორგი II

კონსტანტინე მეფის უფროსი ძე, „სრული ყოველთა სიკეთითა, სიმხნითა და ახოვნებითა“, დასავლეთ საქართველოს მეფე 922-957 წლებში. ტახტი განიმტკიცა მხოლოდ მას შემდეგ, როცა თავიდან მოიშორა მეორე პრეტენდენტი – ნახევარძმა ბაგრატი. გიორგიმ თავისი უფროსი ძე კონსტანტინე ქართლის მმართველად დასვა, მაგრამ შვილი აუჯანყდა და ქუთაისის ტახტის წართმევაც დაუპირა. გიორგიმ კახელები შემოიკავშირა, გადამტერებული შვილი დაამარცხა, შეიპყრო, თვალები დათხარა და დაასაჭურისა, ხოლო ქართლი სამართავად თავის მეორე ძეს, ლეონს გადასცა. იმჟამად კახეთში ახალი ერისთავი კვირიკე ფადლას ძე ავიდა საერისთავო ტახტზე. ამ ახალ ერისთავს გარდაბნელი აზნაურები აუჯანყდნენ და დასახმარებლად გიორგის უხმეს. მან მიწვევა სიამოვნებით მიიღო. ჯერ თვითონ ააოხრა კახეთი, მერე ლეონიც გაიყოლა და მამა-შვილმა ტყვედ აიყვანა კვირიკე ერისთავი. კვირიკემ მთელი კახეთი ქუთაისელ მეფეს ჩააბარა და ტყვეობიდან თავი იხსნა. მალე ქართველმა და კახელმა აზნაურებმა კვირიკე შეაგულიანეს და გიორგის წინააღმდეგ იარაღი აღებინეს. გიორგიმ კახეთის ხელახლა დასამორჩილებლად ლეონი გაგზავნა. ლეონი კახეთში შევიდა, მაგრამ მოულოდნელად მამის გარდაცვალების ამბავი შეიტყო (957 წ.) და კვირიკეს დაუზავდა, დაუმოყვრდა კიდეც – თავის ასული ცოლად შერთო კვირიკეს ვაჟს.

გიორგი მეფეს დიდი გავლენა ჰქონდა სამხრეთ საქართველოზეც. მისი ასული გურანდუხტი ცოლად ჰყავდა გურგენ II მეფეთმეფეს (მათგან დაიბადა საქართველოს დიდი ხელმწიფე ბაგრატ III). გიორგი ეკლესიათა და ციხე-სიმაგრეთა დაუღალელი მშენებელი იყო. მან ააშენა დიდებული ჭყონდიდ-მარტვილის ტაძარი.

### ლეონ III

მეფე გიორგი II-ის მეორე ვაჟი, დასავლეთ საქართველოს მეფე 957-967 წლებში, როცა გიორგი II-მ უფროსი ძე, ქართლის მმართველი კონსტანტინე ღალატისთვის დააბრმავა და დაასაჭურისა, მის ადგილზე ქართლის მმართველად ლეონი დანიშნა, შემდეგ ლეონი მამას კახეთის დამორჩილებაში ეხმარებოდა, ბოლოს კახეთის დამორჩილება მთლიანად ლეონის წინამძღოლობით დასრულდა. მან თავისი ასული კვირიკეს ძეს შერთო, მაგრამ ეს ქალი მალე მოკვდა და ლეონი – უკვე მეფე ლეონ III ისევ შეესია კახეთს, ააოხრა არაგვისპირი, მუხნარი, ხერკი და ბაზალეთი. ლეონის დროს აშენდა მოქვისა და კუმურდოს ტაძრები. ლეონ III გარდაიცვალა 967 წელს. დარჩა ორი ძე – დემეტრე და თეოდოსი.

### დემეტრე III

მეფე ლეონ III-ის უფროსი ძე, დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთს) მეფე 967-975 წლებში. გამეფებისთანავე მას ტახტისთვის ბრძოლა გაუმართა უმცროსმა ძმამ თეოდოსიმ, რომელიც მანამდე კონსტანტინეპოლში იმყოფებოდა. ჯერ სამცხეს მივიდა თეოდოსი და იქ შეუდგა მომხრეთა შეკრებას. მას მოულოდნელად თავს დაეცა დემეტრეს ლაშქარი. თეოდოსი სამცხიდან ქართლში გაიქცა და ძამას ერისთავს ადარნასეს შეაფარა თავი. სამი თვის უშედეგო წინააღმდეგობის შემდეგ თეოდოსი კახეთს გაიქცა. დემეტრემ კახეთის ერისთავს კვირიკეს შეუთვალა – ჩემი ძმა შენი შუამდგომლობით გამომიგზავნე და ჩვენ თვითონ მოვრიგდებით სამეფოს გაყოფაშიო. კვირიკე დათანხმდა. ძმები თავ-თავიანთი მომხრეებით ერთმანეთს მცხეთის სვეტიცხოველში შეხვდნენ და იქვე შეფიცეს „მხურვალე ფიცით“ ურთიერთშერიგება და ფიცის გაუტეხლობა. მაგრამ როგორც კი დემეტრემ მეტოქე ძმა მოიხელთა, ფიცის გატეხვა არად ჩააგდო და თეოდოსის თვალები დასთხარა. მალე ამის შემდეგ დემეტრე მეფე გარდაიცვალა (975 წ.) უშვილძიროდ. ქუთაისის ტახტი უსინათლო თეოდოსიმ დაიჭირა.

### თეოდოს III

მეფე ლეონ III-ის უმცროსი ძე. ქუთაისის ტახტისთვის ებრძოდა უფროს ძმას, მეფე დემეტრე III, რომელმაც ის მოტყუებით ჩაიგდო ხელთ და თვალები დასთხარა. ძმის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა. იმეფა სამი წელიწადი (975-978 წწ.). მას შემდეგ კი ქუთაისის ტახტზე ადის ახალი, გაერთიანებული საქართველოს ხელმწიფე ბაგრატ III.

## ერთიანი საქართველოს მეფეები

### ბაგრატ III



ერთიანი საქართველოს პირველი მეფე 978-1014 წლებში. ძე გურგენ II ტაოელი მეფეთმეფისა, შვილობილი და აღზრდილი დავით III მეფეთამეფე კურაპალატისა. ბაგრატის დედა გურანდუხტი დასავლეთ საქართველოს მეფის გიორგი II-ის ასული იყო. ამიტომ ბაგრატი საუკეთესო კანდიდატი უნდა ყოფილიყო გაერთიანებული საქართველოს ტახტზე.

975 წ. დავით III-მ, იოანე მარუშიძის ხელშეწყობით, ბაგრატი ქართლის ტახტზე დასვა, ხოლო 978 წელს – დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის), ანუ ქუთაისის ტახტიც დაუმკვიდრა. ბაგრატი ენერგიულად მოქმედებდა, მან გაანადგურა ქართველ აზნაურთა შეთქმულება, რომელსაც ქავთარ ტბელი მეთაურობდა. დაიმორჩილა კლდეკარის ერისთავი რატი ლიპარიტის ძე.

1001 წელს გარდაიცვალა დავით III, ხოლო 1008 წელს – გურგენ II და სამხრეთ საქართველოც ბაგრატის ხელში გადავიდა. 1010 წელს ბაგრატ III-მ შემოიერთა კახეთ-ჰერეთი და ამით დაასრულა საქართველოს გაერთიანება. 1011 წელს ბაგრატი განძის საამიროში შეიჭრა და ამირა ფადლონმა სრული მორჩილების და მოხარკეობის პირობა დაუდო. ბაგრატმა დალაშქრა და დაიმორჩილა მთელი ჩრდილოეთ კავკასია ჯიქეთიდან კასპიის ზღვამდე. ეწეოდა დიდ აღმშენებლობით საქმიანობას: ააშენა მოწამეთის ეკლესია, ტაძრები ბედიასა და ქუთაისში („ბაგრატი“).

გარდაიცვალა ტაოში 1014 წელს. გამეფდა 19 წლის, იმეფა 36 წელიწადი. აღესრულა 51 წლისა. დაკრძალეს ბედიაში.

2016 წელს საქართველოს ეკლესიამ ბაგრატ III წმინდანად შერაცხა.

### გიორგი I

სრულიად საქართველოს მეფე 1014-1027 წლებში. იყო ნიჭიერი და მამაცი ხელმწიფე. გამეფების წელს განუდგა კახეთ-ჰერეთი. სამხრეთ ქართული პროვინციებისთვის დიდი ომები ჰქონდა ბიზანტიის კეისარ ბასილი II-სთან. 1014-1016 წლებში დაიბრუნა ტაო-ბასიანის მხარე, რომელიც ადგილობრივ აზნაურთა ღალატის წყალობით 14 წელი ეპყრათ ბიზანტიელებს. 1021 წელს სოფელ შირიმთასთან ქართველები დამარცხდნენ ბიზანტიელებთან, მომდევნო წელს ქართველები ისევ დამარცხდნენ ბასიანში. აქ კეისარმა რუსთა რაზმები გამოიყვანა ქართველთა წინააღმდეგ (ეს რუს-ქართველთა პირველი საბრძოლო შეხვედრა იყო). 1022 წლის ზავით ტაო ისევ ბიზანტიელებს დარჩათ. გიორგის ვაჟი 4 წლის ბაგრატი (შემდეგში მეფე ბაგრატ IV) სამი წლით მძევლად წაიყვანეს კონსტანტინეპოლში.



1027 წელს გიორგი I გარდაიცვალა თრიალეთს. გამეფდა 12 წლისა, იმეფა 13 წელი, აღესრულა 25 წლისა. დაიკრძალა ქუთაისში. დარჩა ერთადერთი ძე ბაგრატი და ორი ასული, გიორგის კანონიერი მარიამ დედოფლის გარდა ყოლია „მეორე ცოლიც“ – ოვსთა მეფის ასული ალდე, რომლისგანაც დაბადებულა დემეტრე, ამ დემეტრეს შტოსგან, მეექვსე მუხლად წარმოსდგება თამარ მეფის ქმარი დავით სოსლანი.

### ბაგრატ IV

ძე გიორგი I-ისა, სრულიად საქართველოს მეფე 1027-1072 წლებში ტახტზე ავიდა ცხრა წლისა. დიდი მტრობა ჰქონდა ბიზანტიის კეისარ კონსტანტინე VIII-სთან ტაოსთვის. 1030 წელს დედამისი მარიამი კონსტანტინეპოლს ეწვია, მშვიდობა აღადგინა კეისარ რომანოზ III-თან, მისი ძმისწული ელენე კი ცოლად ჩამოუყვანა ბაგრატს. ელენე მალე გარდაიცვალა უძეოდ, ბაგრატმა მეორე ცოლად შეირთო ოვსთა მეფის ასული ბორენა, რომლისგანაც ეყოლა გიორგი, შემდგომ მეფე გიორგი II და მართა, იგივე მარიამი (შემდგომ ბიზანტიის დედოფალი). 1032 წელს ბაგრატმა სასტიკად დაამარცხა განძის ამირა ფადლონი.

1237-1036 წლებში ბაგრატმა ალყაში მოაქცია ტფილისი და ის იყო უნდა აეღო, მაგრამ სამხრეთიდან თურქ-სელჩუკთა შემოსევის საფრთხემ აიძულა ტფილისის ამირას დაზავებოდა. 1044 წელს ბაგრატმა წარმატებით ილაშქრა კახეთს, მაგრამ მის შემოერთებას ხელი შეუშალა ზურგში ლიპარიტ ბაღვაშის მტრულმა მოქმედებამ.

1045 წელს მეფემ სომეხთა თხოვნით დაიჭირა ქალაქი ანისი, შეიერთა ტფილისიც, მაგრამ მალე, ისევ ფეოდალთა ღალატით ტფილისიც დაკარგა და ანისიც. 1047 წელს ლიპარიტ ბაღვაშმა ბაგრატი ორჯერ დაამარცხა. 1054 წელს ბაგრატი კონსტანტინეპოლს ჩავიდა და



კეისარ კონსტანტინე მონომახოსს ლიპარიტთან შერიგების შუამდგომლობა სთხოვა. კეისარმა ისინი დააზავა. ლიპარიტმა ბაგრატის მეფობა აღიარა, ოღონდ თავისთვის მესხეთისა და ქართლის ერისთავთერისთავობა დაიმტკიცა. ბაგრატი ბიზანტიაში 3 წელი დარჩა, ამასობაში ლიპარტის დაბეჯითებული მოთხოვნით საქართველოს მეფედ ბაგრატის მცირეწლოვანი ვაჟი გიორგი გამოცხადდა, რომელიც მზრუნველად თვითონ ლიბრიტი დაუნიშნეს.

1057 წ. ბაგრატი შინ დაბრუნდა. გიორგიმ მამის ტახტი დაიბრუნა, მალე მესხმა აზნაურებმა ლიპარიტი შეიპყრეს და მეფეს მიჰგვარეს. ბაგრატმა იგი ბერად აღკვეცა და ბიზანტიაში გააძევა. 1060 წელს ბაგრატმა კახეთ-ჰერეთი შემოიერთა, 1069 წ. გაანადგურა საქართველოში შემოჭრილი განძის ამირა ფადლონი. იმავე წელს მეორედ აიღო ტფილისი, მაგრამ შიგ ისევ არაბი ამირა ჩააყენა და ყოველწლიურ ხარკად 4400 დრაჰკანი დააკისრა. 1071 წელს ბაგრატის ასული მართა (მარიამი) ბიზანტიის დედოფალი გახდა, მისი მეუღლე მიხეილ VII დუკა პარაპანაკი იმპერატორად ეკურთხა.

1072 წელს ბაგრატ IV გარდაიცვალა. დაკრძალეს ჭყონდიდს.

**სანდრო ალექსიძე**

*(გაგრძელება იქნება)*

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №236, 241 (2016), №2,8, 20-21.

# ისე არ მოვიქცეთ, რომ ლუვრისა და ვერსალის სანახავად ჩასულებზე ძებნა გამოცხადდეს



**ბოლო წლების განმავლობაში ევროკავშირის დროშების ფრიალმა, როგორც ჩანს, ამაოდ არ ჩაიარა. საქართველო დაუბრუნდა ევროპულ ოჯახს და, როგორც საქართველოში უყვართ თქმა, ეს არის ჩვენი ისტორიული არჩევანი. მე-18 საუკუნის ევროპამ უარით გამოისტუმრა დახმარების მთხოვნელი სულხან-საბა, მაგრამ 21-ე საუკუნეში ჩვენთვის ვიზალიბერალიზაცია გამოიმეტა და „ძლიერი სიგნალით" აუწყა ჩვენს ერს, რომ საქართველო კიდევ უფრო დაუახლოვდება ევროპულ ღირებულებებს.**

**რას უნდა ველოდოთ ვიზალიბერალიზაციისგან? ამის შესახებ For.ge-ს პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრა.**

**— ვიზალიბერალიზაციის მონიჭებას ევროპულ ოჯახში დაბრუნებად აღიქვამენ ჩვენი ექსპერტები და პოლიტიკოსები. რა სიკეთეს და უარყოფითს მოგვიტანს ამ გლობალურ სამყაროში ჩვენი კიდევ უფრო მეტად დაახლოება?**

— ევროპაში ჩვენს დაბრუნებაზე ჯერჯერობით ლაპარაკი არც არის. თუ მართლაც არსებობს ევროპული ოჯახი, ევროპული სახლი, ჩვენ მხოლოდ ამ სახლის ეზოს ჭიშკარი შეგვიღეს და ეზოში შეგვიშვეს. თვითონ ევროპის ოჯახი, ანუ ევროპის სახლი დღეს არის ევროკავშირი. თუმცა ევროპაში დღეს სერიოზულად არავინ ფიქრობს საქართველოსა და უკრაინის ევროკავშირში მიღებაზე. ვიზალიბერალიზაცია არ არის მარტო ამ ხელისუფლების დამსახურება. პირველი პრეზიდენტიდან დაწყებული, ყველას მიუძღვის ამაში წვლილი. გავიხსენოთ, ჰოლანდიამ რა პირობით დაუჭირა მხარი უკრაინისთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭებას. იმ პირობით, თუ უკრაინა არასოდეს მოითხოვდა ევროკავშირში შესვლას და, თავის მხრივ, ევროკავშირიც არასდროს მოსთხოვდა ჰოლანდიას, ევროკავშირში უკრაინის მიღებაზე თანხმობა განეცხადებინა გინდ ათი, გინდაც ასი წლის შემდეგ.

**— აქედან გამომდინარე, ევროკავშირში საქართველოს გაწევრებაშიც დაბრკოლებას ხედავთ?**

— რასაკვირველია. ვერავინ იტყვის, რომ ეს შეზღუდვა მარტო უკრაინას ეხება და საქართველოს უთუოდ მიიღებენ. ეს ზღაპარია. ცხადია, ვიზალიბერალიზაცია წინგადადგმული ნაბიჯია, ჯობდა, მიგვეღო, ვიდრე უარი ეთქვათ ჩვენთვის. კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა უარი, რადგან მხოლოდ საქართველო და უკრაინა ითხოვდა ვიზალიბერალიზაციას. ეს არ მოუთხოვია პოსტსაბჭოური სივრცის არც ერთ წევრს. ამ მხრივ მოლდოვას, პირიქით, უკუსვლა აქვს. არადა, მოლდოვას ვიზალიბერალიზაციაზე კიდევ უფრო მეტი შანსი ჰქონდა, მაგრამ თვითონვე თქვა უარი. როგორც კი ახალი პრეზიდენტი მოვიდა, საერთოდ უარი განაცხადა ევროპისკენ სვლაზე, მაგრამ ჩვენ ეს მოვინდომეთ, ჩვენ ვიძახდით, ვიზალიბერალიზაცია გვინდაო და ჩვენ ეს მივიღეთ.

ერთი რამ კარგია, უვიზო მიმოსვლა აპრილიდან ძალაში შედის. ამ პერიოდიდან ტურისტული სეზონი იწყება და ჟურნალისტებს შეგიძლიათ, მონიტორინგი დააწესოთ, რამდენი ახალი ქართველი ტურისტი გაემგზავრება ევროპაში ლუვრის, ვერსალის, კოლიზეუმის, ვენეციის სანახავად სამთვიან მოგზაურობაში, როგორც ეს ადრე ხდებოდა, მე-19 საუკუნეში. თორემ მე-20 საუკუნეში უკვე აღარ იყო 3-4-5-თვიანი მოგზაურობები.

**— რამდენად აცნობიერებენ ქართველები, რომ ევროპელებზე ნეგატიური შთაბეჭდილება არ უნდა დატოვონ და ევროპაში დროებითი ვიზიტი „სხვა საქმეებისთვის" არ გამოიყენონ? ასეთი ქმედებებისგან დაგვიცავს ჩვენთვის დაწესებული შეზღუდვები? კერძოდ ის, რომ მოკლევადიანი უვიზო რეჟიმით მოსარგებლეებმა საზღვარზე უნდა წარადგინონ უკან დასაბრუნებელი სამგზავრო ბილეთი, სასტუმროს ჯავშანი და ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი?**

— სწორედ ეგ მინდოდა მეთქვა. უკვე არსებობს საამისო რისკები. მართალია, ევროპაში გამგზავრების მსურველმა უნდა დაამტკიცოს, რომ უკან დაბრუნდება, მაგრამ ვერავინ გამორიცხავს საფრთხეს, რომ არ განმეორდება ჩვენი „ძმები" ქურდების ამბავი. სულ რამდენიმე თვის წინათ გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ტომას დე მეზიერმა აღშფოთებით განაცხადა, რა უბედურებაა, ქართველებმა გაავსეს გერმანიის ციხეები, ადგილები აღარ გვყოფნისო. ასე არ უნდა მოხდეს და უკანონო მიგრანტებად არ უნდა იქცნენ ჩვენი ე.წ. მდიდარი ტურისტები. ლუვრისა და ვერსალის სანახავად ჩასულებზე ძებნა არ უნდა გამოცხადდეს. თუმცა რით უნდა დაკავდნენ ევროპაში, წარმოდგენა არ მაქვს. სწავლისა და სამსახურის უფლება მათ არა აქვთ. სამი თვე რა უნდა აკეთონ იქ, თუ არც სწავლობენ და არც მსახურობენ? დღეს სამთვიანი მოგზაურობის ფული ვისაც აქვს, ის უკვე ევროპაშია და მათი ნაწილი საერთოდ არ აპირებს საქართველოში დაბრუნებას.

**— ამ ადამიანებმა უნდა წარადგინონ ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც დღეში 50 ევროს მოიცავს, სასტუმროს ჯავშნის საფასურის ჩათვლით. ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოდან ჩასული ვიზიტორი მეტ-ნაკლებად ფინანსურად უზრუნველყოფილი იქნება და სხვა მიზნებისკენ ხელი არ წაუცდება?**

— ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი დღეში 50-დან 60-ევროს ფლობას ადასტურებს, მაგრამ ეს არ იქნება დამაბრკოლებელი. გინდათ გითხრათ, ვინ იქნებიან ევროპაში წამსვლელები? მათთან მაქვს კონტაქტი, სოფლებში დავდივარ, აგარაკზე მიწევს გასვლა და, ნუ გაგიკვირდებათ, ყველაზე ხმალამოწვდილი მომხრეები, ღამე რომ არ სძინავთ და სიზმრად ხედავენ ვიზალიბერალიზაციას, ლუვრისა და ვერსალის მოყვარულები კი არა, ჩვენი გლეხობაა. ეს იმიტომ, რომ ასობით და ათასობით ანალოგიური მაგალითი აქვთ. სოფელს ვეღარ ნახავთ, საიდანაც 10-20 ადამიანი, უფრო მეტად ქალები, (კაცები ნაკლებად), წასულები არ იყვნენ უცხოეთში. აქ დარჩენილები კი ფიქრობენ, მერე რა, თუნდაც სამი თვით ჩავალ ევროპაში და მერე ჩემს მარიფათზეა დამოკიდებული, იქ სამი თვე დავრჩები თუ სამი წელი.

**— გულისხმობთ იმას, რომ იმ სამ თვეშიც შეუძლიათ დაქორწინდნენ და დარჩენენ ევროპაში?**

— ძირითადად ახალგაზრდებს შეეძლებათ დაქორწინება, თორემ 60 წლის ქსენია მემწვანილე რომ ჩავა უცხოეთში, მთხოვნელი ევროპაში არ ეყოლება.

**— ფიქტიურად მასაც შეუძლია დაქორწინდეს?**

— კი შეუძლია, მაგრამ რა გვგონიათ, ევროჩინოვნიკები სულ დეგენერატები არიან? ამ წლებში მათაც ისწავლეს ჭკუა. მართალია, სადღაც ერთი 30-50 წლის წინათ გაავსეს ევროპა ათასი რჯულის ადამიანებით, მაგრამ ახლა ყველამ ჭკუა ისწავლა. მართალია, აპრილიდან ჩვენ მოგვცემენ ვიზალიბერალიზაციას, მაგრამ იმავე აპრილში საფრანგეთში მოვა სულ სხვა პრეზიდენტი, რომელიც აუცილებლად მკვეთრ შიდა რეგულაციებსა და შეზღუდვებს დააწესებს. თუნდაც იმავე ქორწინებებთან მიმართებით. ეს გინდ ლე პენი იყოს, გინდ ფიიონი, გინდ მაკრონი. ახლა სამი კანდიდატია, თორემ გასულ პარასკევამდე ორი კანდიდატი იყო. ახლა გაირკვა, ფიიონის მეუღლესაც რაღაც ნამაიმუნარი აქვს, არ უმსახურია და ქმრის ავტორიტეტის გამო ისე იღებდა 500 ათას ევროს. მეგონა, მარტო საქართველოში ხდებოდა ასეთი რამ, თურმე არც საფრანგეთი ყოფილა გამონაკლისი.

საფრანგეთზე რომ არაფერი ვთქვათ, იტალიის ხელისუფლებაში, როგორც ჩანს, აუცილებლად მოვა ყოფილი კლოუნი ბეპე გრილო, ისიც ულტრამემარჯვენეა, ისიც ამბობს, საზღვრებს გავაკეთებ, მიგრანტები არ მჭირდებაო. გარდა ამისა, შემოდგომაზე გერმანიაშია არჩევნები, მერკელმა გინდაც შეინარჩუნოს კანცლერობა, დღეს უკვე ის მერკელი აღარ არის, რომელიც სულ რამდენიმე თვის წინათ მიგრანტების მისამართით ხელგაშლილად ამბობდა, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება გერმანიაშიო.

**— მერკელი ნელ-ნელა თვითონაც მემარჯვენე ხდება.**

— დიახ, ყრილობაზე პირადად აღიარა, ის რაც მოხდა, მეტი აღარ განმეორდებაო. ეს მარტო სირიიდან და ერაყიდან ჩასულ მუსლიმანებს არ შეეხება, არამედ ნებისმიერ სხვას. ჩვენში ზოგიერთებს ვიზალიბერალიზაცია ეიფორიაში აგდებს და კანონის დარღვევის ილუზიას უქმნის. ამიტომ აუცილებელია, აპრილამდე ჩვენმა მთავრობამ მოსახლეობას აუხსნას, რა ელით, თუკი გამოაძევებენ, შავ სიაში შეიყვანენ და მორჩა. შემდგომში უკვე რომც გამდიდრდნენ და მილიონერები გახდნენ, ევროპაში ვეღარ შევლენ.

**— როგორც ჩანს, 30 ქვეყანა: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესპანეთი, იტალია, ლატვია, ლუქსემბურგი და სხვა მთლად გულგახსნილად არ გველოდება?**

— რასაკვირველია, ამან ცოტა ეშხი დაკარგა ინგლისის ბრექსიტის გამო, ვინაიდან ყველაზე ადვილად სამუშაოს შოვნა და ცხოვრების კარგი პირობები ბრიტანეთში იყო. ამითაც აიხსნება, რომ ახლო აღმოსავლეთიდან ლტოლვილებმა ევროპა ტრანზიტად აქციეს და საფრანგეთში ლტოლვილების ქალაქი-კალე მოაწყვეს, საიდანაც ყველას ინგლისში უნდოდა შესვლა. ინგლისი უკვე გამოირიცხა. ახლა საჭიროა, ეს ერთი თვე ჩვენმა მთავრობამ მოსახლეობას ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით ყველაფერი აუხსნას, ნაცვლად იმისა, რომ იძახოს, აი, დედასამშობლო ევროპას დავუბრუნდით და ეს ჩვენ გავაკეთეთო. სულხან-საბას ვიზიტი რა იყო? გაუშვეს ეს ბერიკაცი ევროპაში, ექვსი თვე იქით და აქეთ მოგზაურობდა და ისიც კი არ იცოდა, რომ საფრანგეთი ირანისა და თურქეთის მოკავშირე იყო. ამ დროს სულხანი ჯარს სთხოვდა საფრანგეთს იმავე ლუი მეთოთხმეტის მოკავშირეებთან საბრძოლველად. ასეთ სასაცილო მდგომარეობაში ჩავცვივდით. ასე რომ, არსად არ დავბრუნებულვართ, არსად არ მივუღივართ ჯერ, თუმცა ვიზალიბერალიზაცია მაინც წინგადადგმული ნაბიჯია.

**მანანა ნოზაძე**

## ექსპრეზიდენტს კორუფციაში ადანაშაულებენ



**პერუს ექს-პრეზიდენტ ალეხანდრო ტოლედოზე დაპატიმრების ორდერი გაიცა. ყოფილი პრეზიდენტი კომპანია ოდებრეჩტისგან ქრთამის აღებაშია ეჭვმიტანილი. ქრთამის სანაცვლოდ სამშენებლო კომპანიამ ნახევარი მილიარდი დოლარის ღირებულების ტენდერი მოიგო. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ტოლედოს 18-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა.**

## ზღვამ ვეშაპები გამორიყა



**ახალ ზელანდიაში ვეშაპების გადარჩენის ოპერაცია ტარდება. 400-მდე ძუძუმწოვარი ნაპირზე ზღვამ გამორიყა. მათგან 300 დაიღუპა, 100-ის გადარჩენას კი მაშველები მოხალისეების დახმარებით ცდილობენ. ე.წ. „ვეშაპების სუიციდი" ხშირი მოვლენაა, თუმცა ამ მასშტაბის პრეცედენტი ახალ ზელანდიაში ჯერ არ მომხდარა.**

## ტრამპის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყება



**დემოკრატები ტრამპის წინააღმდეგ გამოძიების დაწყებას აპირებენ. კონგრესის წარმომადგენელთა პალატას შესაბამისი ინიციატივით ჯეროლდ ნედლერმა მიმართა. ინიცირებული კანონპროექტით, კონგრესმა იუსტიციის სამინისტროდან ყველა საჭირო დოკუმენტი უნდა გამოითხოვოს, რაც საგამოძიებო კომიტეტს ტრამპის ბიზნესკავშირების დადგენაში დაეხმარება. დემოკრატები განსაკუთრებით რუსეთთან ტრამპის კავშირებით ინტერესდებიან.**

## რა ღირს მექსიკის კედლის მშენებლობა?

**მექსიკის კედლის მშენებლობა შესაძლოა, ორჯერ უფრო ძვირი დაჯდეს, ვიდრე არჩევნებამდე ტრამპი აანონსებდა. უსაფრთხოების სამსახურის გათვლით, დამცავი ბარიერის მშენებლობა 21 მილიარდ 600 მილიონი დოლარი დაჯდება, კერძო კომპანიების კალკულაციით კი ხარჯები 25 მილიარდს გადააჭარბებს. ამერიკა-მექსიკის საზღვარზე უსაფრთხოების კედლის მშენებლობა ტრამპის ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება იყო, რომლის შესრულებაც მან პრეზიდენტობის პირველივე დღიდან დაიწყო. მანამდე ის აცხადებდა, რომ კედლის მშენებლობა 12 მილიარდი დოლარი დაჯდებოდა.**



# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

## სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი (AMMAR)

საქართველომ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისგან (IFAD) მიიღო სესხი და გრანტი (IFAD Loan #: 2000000778; IFAD Grant 2000000248) სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტის (AMMAR) დასაფინანსებლად და განზრახული აქვს სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული ხარჯების **გორის მუნიციპალიტეტში არსებული ,,ძევერა შერთულის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის პკ95+25-დან პკ122+88-მდე მონაკვეთის და I, სხვა რიგის გამანაწილებლებისა და შიდა სამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია გ-19-დან გ-34-მდე", ნაწილი III-ბ.**

კონტრაქტით **№: *AMMAR/CW/2017/04***

**1.** საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო იწვევს საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მქონე იურიდიულ პირებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად. **კონტრაქტის ხანგრძლივობაა 8 თვე.**

**2.** კონტრაქტის მინიჭებისათვის კონკურსის მონაწილეებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი **საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- ბოლო 3 წლის განმავლობაში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური მოცულობა ეროვნულ ვალუტაში – **1,600,000** ლარი დღგ–ს ჩათვლით
- ბოლო 3 წლის განმავლობაში გენერალური კონტრაქტორის როლში მინიმუმ 1 ანალოგიური ხასიათის და სირთულის, მინიმუმ **850,000 ლარის** (დღგ–ს ჩათვლით) ღირებულების სამუშაოთა ჩატარების გამოცდილება (ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სამუშაოები არა ნაკლებ 70%-ით უნდა იყოს დასრულებული).
- კონკურსის მონაწილის ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო სახსრების (სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების გამოკლებით) მინიმალური ოდენობაა – **200,000 ლარი.**

**3.** ქართულ ენაზე საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტის შეძენა დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ **2017 წლის 14 თებერვიდან** (ყოველდღე 12:00-დან 16:00 საათამდე) ქვემოთ მითითებულ მისამართზე წარდგენილი წერილობითი მოთხოვნისა და ქვემოთ მითითებულ რეკვიზიტებზე 50 ლარის ოდენობის დაუბრუნებადი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის საფუძველზე.

გადახდა უნდა მოხდეს თანხის გადარიცხვით შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი: TRESGE22;**
**ანგარიშის ნომერი / სახაზინო კოდი: 302004400;**
**გადახდის დანიშნულებაში აუცილებელია მიუთითოთ სადეპოზიტო ქვე-კოდი -4411.**

**4.** საკონკურსო წინადადება ძალაში უნდა იყოს წინადადებების გახსნის დღიდან 90 დღის განმავლობაში და მას უნდა ახლდეს საკონკურსო წინადადების საბანკო გარანტია (გამოშვებული ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ) საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით. გარანტია უნდა იყოს გაცემული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელზე სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ვადით და ფორმის მიხედვით. საკონკურსო წინადადება უნდა ჩაბარდეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს ***2017 წლის 13 მარტის 12:00 საათისა,*** როდესაც ისინი გაიხსნება დასწრების სურვილის მქონე კონკურსანტების თანდასწრებით.

**5. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.**

**მისამართი:** თბილისი, მარშალ გელოვანის №6, 1-ი სართული, საკონფერენციო დარბაზი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

**საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი**

◎ ცხოველთა სამყარო

# მლაშე-ტკბილი

## აქლემები, მწვანე დათვი და სხვები

**მეცნიერები დიდი ხანია, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ცოცხალი ბუნების „გვირგვინად" შერაცხილი ადამიანი, სიცოცხლისთვის თითქმის „უვარგისი სისტემაა".**

კერძოდ, მათ აქლემების გენომი გაშიფრეს და გაარკვიეს, თუ რატომ შეუძლიათ მათ, რომ იტყვიან, „ტომრებით" ტკბილი ან მარილიანი საკვების მიღება და ამის გამო ავადაც არ ხდებიან.

მაგალითად, 2013 წელს **ერთკუზიანი აქლემი** — დრომადერი — ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში კორონოვირუსის საშინელი ეპიდემიის მიზეზი გახდა. ამასთან, ადამიანისთვის ეს უაღრესად საშიში დაავადება, თავად აქლემისთვის არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენს. დრომადერის გენომის გაშიფვრის შედეგად მკვლევარებმა დაასკვნეს: მას უმეტესი ინფექციური დაავადების მიმართ დამცველი მექანიზმი აქვს, რომელიც არახელსაყრელ პირობებში საუკუნეების მანძილზე ცხოვრების შედეგად გამოუმუშავდა.



**ორკუზიანი აქლემის** — ბაქტრიანის — გენომის გაშიფვრისას კი მონღოლმა გენეტიკოსებმა დაადგინეს, რომ დაახლოებით 60 მილიონი წლის წინათ წყილჩლიქოსანთა ძირითადი შტოდან გამოყოფილი ეს ცხოველები არამარტო ადამიანზე, არამედ საკუთარ ნათესავებზე გამძლენიც არიან. ევოლუციის შედეგად მათ გენური მექანიზმები გამოუმუშავდათ, რომლების სისხლში გლუკოზის ძალიან მაღალი შემცველობის გაძლების უნარს სძენენ. ამიტომაცაა, რომ მათ ისეთი რაღაცებით კვება შეუძლიათ, რომელიც სხვა ცხოველებშიც და, მით უმეტეს, ადამიანშიც შაქრიანი დიაბეტის განვითარებას გამოიწვევდა. გარდა ამისა, მათში სხვაგვარად მუშაობს CYP2J გენი: თუკი მისი ჭარბად მოხმარებისას ადამიანში მისი მუშაობა ითრგუნება, რაც ჰიპერტონიას იწვევს, აქლემს ასეთი რამ არ მოსდის. ამიტომაცაა, რომ ბაქტრიანს არანაირი მლაშე საკვები არ ვნებს.



**რვაფეხას** მთავარი თავისებურებაა მისი ფერის შეცვლის უნარი, რისი წყალობით ის მტაცებლებსაც ერიდება და თავადაც უადვილდება ნადირობა. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ამ უნარს მას კანის ელასტიკური უჯრედები — ქრომატოფორები და ირიდოცისტები ანიჭებენ. ისინი ცხოველს ლითონის ფერიდან მოყოლებული ნარინჯისფრამდე აუარება ფერის წამებში მიღების უნარს ანიჭებენ, რისი წყალობით ის გარემოს უმალ ერწყმის. სხვათა შორის, თუკი რვაფეხა დაბრმავდება, ის ამ არაჩვეულებრივ უნარს დაკარგავს.



**თეთრი დათვის** თავდაცვის მთავარი იარაღია ბეწვი, რომელსაც ცოცხალ ბუნებაში ანალოგი არ აქვს. საქმე ისაა, რომ ბეწვის თითოეული ღერი ღრუა და თითქმის გამჭვირვალე. ამიტომაა, რომ ულტრაიისფერი სინათლის ზემოქმედების შედეგად თეთრი დათვები ყვითლდებიან (**ეს ადამიანის გარუჯვის მსგავსი პროცესია** — რედ.) ხოლო თუკი სიცხე მათთვის აუტანელი ხდება, ისინი, სულაც... მწვანდებიან. მათი ბეწვი არასდროს არ სველდება, რაც ძალიან დაბალი ტემპერატურების დროს ცურვის შესაძლებლობას აძლევს. თათისგულებზე კი ბეწვი ისეთ სქელ ფენას წარმოქმნის, რომ არანაირი ჩექმა არ შეედრება. საერთოდაც, გამოკვლევების შედეგად გაირკვა, რომ თეთრი დათვებისთვის გაცილებით სახიფათოა პლუსურ ტემპერატურებში ცხოვრება, ვიდრე ცელსიუსის — 80 გრადუსზე. ამის მიზეზი კი ისაა, რომ, ძაღლებისგან განსხვავებით, თეთრ დათვს გადახურვებთან ბრძოლის არანაირი მექანიზმი არა აქვს.

ცნობილია, რომ თუკი ცხოველს თავდასხმის უნარი არა აქვს, იგი თავდაცვის ყველა საშუალებას ეძებს. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ცხოვრობს კალიმას გვარის პეპელა. ეს არაჩვეულებრივად ხასხასა და მსუბუქი მწერები ყვავილიდან ყვავილზე დაფარფატებენ, მაგრამ როგორც კი საფრთხე წარმოიშვება, ისინი უმალ ბუჩქზე სხდებიან, ირინდებიან და ფრთებს კეცავენ, რომელთა შიდა მხარეებში ზუსტად ფურცლის ძარღვების მსგავსი ნახატია. ამიტომაც, მისი მცენარისგან გარჩევა, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

**— ცხოველთა უჩვეულო უნარები ბუნებრივი შერჩევის შედეგია, — ამბობს მ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი ნიკოლოზ დროზდოვი. — გადარჩენას ისინი სწორედ ამ უნართა წყალობით ახერხებენ. ადამიანს კი უმეტესობა მათგანი არ სჭირდება.**

მოამზადა
**ოთარ ტურაბელიძემ**



# განცხადება

**2017** წლის **04** აპრილს **14:00** საათზე, შპს „ჯეუ გრუპი"-ის ოფისში (მისამართი: ქ. თბილისი, ჯანაშიას ქ **№16/18)**, გაიმართება შპს „ჯეუ გრუპი"-ის ასფალტის საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: ასფალტის წარმოება.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი, თელავჭრელიძის 4 შეს. №1, ს/კ 01.19.18.007.014)

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- შპს „ჯეუ გრუპი"-ის ოფისი, ქ. თბილისი, ჯანაშიას ქუჩა **№16/18; (+995) 599- 975-522;**
- შპს „ჯეოკონი"-ს ოფისში – ქ. თბილისი, კეკელიძის ქ. **№62-64.** ტელ: **(+995) 599-540-208.**

საზოგადოების წარმომადგენელთა მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე, მისამართზე: ქ. თბილისი, ჯანაშიას ქუჩა №16/18, საკონტაქტო პირი: გიორგი გუნია, ტელ.: (+995) 599-975-522. ელ. ფოსტა: ggunia@jeugroup.ge

ჩოგბურთი



ნიკოლოზ ბასილაშვილი

# ბასილაშვილმა ტიმი დაამარცხა

**საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ლიდერი ნიკოლოზ ბასილაშვილი, რომელმაც თბილისის ოლიმპიურ სასახლეში ფინელების წინააღმდეგ შესანიშნავად ითამაშა, წარმატებით გამოდის ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში დიდ საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 482.060 ევრო). მსოფლიო რეიტინგით 87-ე ადგილზე მყოფმა 24 წლის ქართველმა პირველ წრეში 28 წლის ფრანგი ადრიან მანარინო (56-ე) დაამარცხა — 7:6, 7:6. მეორე წრეში ჩვენებური ასპარეზობის რეიტინგფავორიტს, 23 წლის ავსტრიელ დომინიკ ტიმს შეხვდა, რომელიც მსოფლიოს კლასიფიკაციით მერვე ადგილზეა. მერვედფინალური მატჩი, რომელიც საათსა და 18 წუთს გაგრძელდა, ბასილაშვილმა საკმაოდ იოლად მოიგო — 6:4, 6:4 და მომდევნო ეტაპზე გავიდა.**

პაექრობის შემდეგ პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში ბასილაშვილმა აღნიშნა: „ჩემი აზრით, ძალიან კარგად ვითამაშე. ამის თქმა განსაკუთრებით მეტოქის მოწოდებებზე შემიძლია. მთელი მატჩის განმავლობაში არ დამიკარგავს კონცენტრაცია. განსაკუთრებული მოვლენაა, როცა ტოპათეულის ჩოგბურთელს ამარცხებ. დღევანდელი გამარჯვება ერთ-ერთი საუკეთესოა, ჩემს კარიერაში. ტიმის დამარცხება თვითრწმენას შემმატებს მომავალი მატჩისთვის". ნიკამ კარიერაში ტოპათეულის მეორე ჩოგბურთელი დაამარცხა. შეგახსენებთ, რომ შარშან 24 ოქტომბერს მან ვენის საერთაშორისო ტურნირზე მსოფლიო კლასიფიკაციით მე-10 ნომერ ტომაშ ბერდიხს (ჩეხეთი) აჯობა — 6:4, 6:7, 7:5.

**ლევსო ცინცაძე**

ჭადრაკი

# ქალები დღეს იწყებენ

**ირანის დედაქალქ თეირანში დღეს დაიწყება და 3 მარტს დასრულდება მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 64 წარმომადგენელი მონაწილეობს, მათ შორის — რვა დიდოსტატი საქართველოდან. გამარჯვებულსა და პრიზიორებს ნოკაუტსისტემა გამოავლენს. სულ ექვსი რაუნდი გაიმართება. ჩემპიონატის საპრიზო ფონდია 450.000 დოლარი, საიდანაც გამარჯვებული 60.000 დოლარით დაჯილდოვდება.**

11-13 თებერვალს პირველი რაუნდის ორთაბრძოლები გაიმართება. ქართველები ასე დაუწყვილდნენ მეტოქეებს: ნანა ძაგნიძე-მონა ხალედი (ეგვიპტე), სოფიო გვეტაძე-ნინო ბაციაშვილი, ნგუენ ტაო ლი (ვიეტნამი)-ლელა ჯავახიშვილი, სოფიკო გურამიშვილი-სარასადათ ხადემალშარიეხი (ირანი), ნატალია ჟუკოვა (უკრაინა)-ნინო ხურციძე, სალომე მელია-ეკატერინა ატალიკი (თურქეთი), ოლგა ზიმინა (იტალია)-ბელა ხოტენაშვილი.

**ნანა სვანიძე**

მარათონი

# წარმატებული დებიუტი

**ამას წინათ დუბაიში ყოველწლიური ტრადიციული საერთაშორისო მარათონი გაიმართა ხუთვარსკვლავიანი ღონისძიების სტატუსით. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად ამ შეჯიბრებაში ქართველ ვეტერან მარათონელთა ნაკრებმა ხუთ ასაკში (50-დან 75 წლამდე) იასპარეზა. იდეის ინიციატორი და სულისჩამდგმელი გახლდათ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი დავით ტატიშვილი, რომელიც თავადაც მარათონელი გახლავთ და 55 წლის მძლეოსნისთვის ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ეს 47-ე მარათონული გარბენი იყო.**

ქართველთა დებიუტი დუბაიში წარმატებული აღმოჩნდა: 65-69 წლის სპორტსმენთა ასაკობრივ ჯგუფში 42 კილომეტრი და 195 მეტრი ყველაზე სწრაფად დაფარა ვასილ სანიკიძემ, რომელმაც საგრძნობლად ჩამოიტოვა მეორე ადგილზე გასული იაპონელი კონკურენტი. ამ ასაკში მესამე ადგილი დაიკავა გიორგი ხარაზიშვილმა — რიოს ოლიმპიური თამაშების მონაწილე დავით ხარაზიშვილის მამამ და მწვრთნელმა. 50 წელს გადაცილებულებში (55 წლამდე) მეორე იყო ამაზასპ მამიკონიანი. ასევე, ვერცხლის მედალი ხვდა გუნდის უხუცეს წევრ ალფრედ გერცვოლფს (70-74 წ.წ.). საპრიზო ადგილამდე მცირედი დააკლდა სპირიდონ ვალიშვილს (55-59), რომელიც მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა. მაღალი შედეგები აჩვენეს ნაკრების სხვა წევრებმაც — დავით ტატიშვილმა (55-59 წ.წ.) და თენგიზ ლაცაბიძემ (60-64 წ.წ.).



დუბაის მარათონის მონაწილენი

— რამდენიმე წლის წინათ კუს ტბაზე ულტრამარათონისას გავიცანი რამდენიმე ვეტერანი სპორტსმენი, რომლებიც რეგულარულად ვარჯიშობენ, წლებს არ ნებდებიან. — გვითხრა ბატონმა დავითმა. — ამ ხნის განმავლობაში თვალს ვადევნებდი, ისინი როგორი ენთუზიაზმით და შემართებით ვარჯიშობდნენ, როგორ ინარჩუნებდნენ სპორტულ ფორმას. ყოველივე ამან გადამაწყვეტინა, ამ ადამიანებისგან შემექმნა გუნდი, დიდ ტურნირზე გამოვსულიყავით და მთელი მსოფლიოსთვის გვეჩვენებინა, რომ „არამორბენალი ქვეყნის" შვილებსაც შეგვიძლია საერთაშორისო სარბიელზე წარმატებით გამოსვლა. პსპ ჯგუფისა და „დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის" თანადგომითა და დახმარებით ჩანაფიქრი რეალობად ვაქციეთ და დუბაიში ვეტერანებმაც გვასახელეს — დებიუტი წარმატებული გამოდგა. აჯობო ისეთი ქვეყნების წარმომადგენლებს, როგორებიცაა ამერიკა, საფრანგეთი, იაპონია, გერმანია და სხვა, იოლი როდია, მაგრამ ჩვენებმა ეს შეძლეს და გვიჩვენეს მაგალითი, როგორ უნდა იცხოვრო ჯანსაღად თუნდაც 70 წლის ასაკში.

**— არადა, ჩვენთან „სმა-ჭამა, დიდად შესარგი", უფრო ფასობს...**

— სმა-ჭამა კარგია, მაგრამ აქტიურ ცხოვრებაზეც უნდა ვიფიქროთ. პარადოქსია, თუმცა ფაქტია, რომ საქართველოში, სადაც უამრავი ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი და პრიზიორი გვყავს, მასობრივ სპორტს ნაკლები ყურადღება ექცევა, განსაკუთრებით — ახალგაზრდებსა და ხანდაზმულებში. ამიტომაც შემთხვევითი არ არის ბოლო წლებში ავადმყოფობის ასე მოძალება. მდგომარეობის რადიკალურად შესაცვლელად აუცილებელია, მეტად ვიზრუნოთ საკუთარ ჯანმრთელობაზე. სახელმწიფომაც და კერძო ბიზნესმაც დროულად უნდა მიხედონ ამ პრობლემას, მხოლოდ ორი დაწესებულების ენთუზიაზმი არ კმარა. იმედია, გამოჩნდებიან ადამიანები და ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას აქტიურად დაუჭერენ მხარს.



დავით ტატიშვილი

**— ბატონო დავით, ბოლო ექვსი წლის განმავლობაში თქვენს 48-ე მარათონში ირბენთ, რომელსაც ამ კვირას ბარსელობა უმასპინძლებს.**

— დიახ, 55 წლის ვარ და თვე არ გავა, რომელიმე მარათონში რომ არ ვიასპარეზო. ეს უკვე ცხოვრების წესად მექცა. მსოფლიოს უდიდეს ქალაქებში უქმე დღეებში მარათონები ან ნახევარმარათონები იმართება. ათიათასობით ადამიანი დარბის, ამიტომაცაა, უცხოეთში 80 წელს გადაცილებულნიც კი თავს მხნედ და ჯანსაღად გრძნობენ. რაღა შორს წავიდეთ, აგერ, დუბაიში 10-15 წლით უფროსმა მეგობრებმა მოგვცეს მაგალითი. მათი შედეგები ჩემთვისაც გახდა სტიმული და გადავწყვიტე, უმაღლესი სტატუსის მქონე საერთაშორისო მარათონებში, ცხადია, ჩემს ასაკში, გამარჯვებულთა შორის მოვხვდე.

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი

# „ოკლაჰომამ" იმარჯვა

**გუშინ ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის რამდენიმე მატჩი გაიმართა.**

ცენტრალურ შეხვედრაში „ოკლაჰომამ" შინ „კლივლენდს" უმასპინძლა. პირველი ტაიმი სტუმრებმა 2 ქულით მოიგეს, მესამე პერიოდის დასაწყისში „ოკლაჰომა" წინ გავიდა, რის შემდეგაც „კავალერია" მდევრის როლში აღმოჩნდა. მასპინძელთა ლიდერმა რასელ უესტბრუკმა მიმდინარე სეზონში 26-ე სამმაგი დუბლი შეასრულა: 29 ქულა, 11 პასი და 12 მოხსნა. „კლივლენდში" 28 ქულით კაირი ირვინგი გამოირჩა. ლებრონ ჯეიმსს 18 ქულა, 7 პასი და 5 მოხსნა ჰქონდა. „კლივლენდი" 36 მოგებითა და 16 წაგებით აღმოსავლეთ კონფერენციას ლიდერობს, ხოლო „ოკლაჰომა" 31 გამარჯვებითა და 23 მარცხით დასავლეთ კონფერენციაში მე-7 ადგილზეა.

ხვალ ზაზა ფაჩულია და მისი თანაგუნდელები სწორედ „ოკლაჰომას" დაუპირისპირდებიან.

მძლეოსნობა



ბაჩანა ხორავა

# ბალკანეთის პირველობაზე გამოვლენ

**თბილისის მძლეოსნობის სასახლეში ორ დღეს გრძელდებოდა მძლეოსანთა საქართველოს ზამთრის ღია ჩემპიონატი, რომელშიც მასპინძლებთან ერთად სომეხმა ათლეტებმაც იასპარეზეს. ამ შეჯიბრების შედეგებით შეირჩა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები (ბირთვი — გიორგი მუჯარიძე, ბადრი ქიმაძე, 800 მეტრი — საბა ხვიჩავა, სიგრძეზე ხტომა — რომან ბადრიძე), რომლის წევრებიც 12 თებერვალს სტამბოლში ბალკანეთის პირველობაზე გამოვლენ. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ საქართველოს ჩემპიონები გახდნენ:**

ქალები. ანგელინა ლაზვიაშვილი (60 მ. თბილისი, 8,14), ანგელინა ლაზვიაშვილი (200 მ. 27,07), ბელა ჭკადუა (400 მ. ზუგდიდის „ბუბა", 1.05,18), ნინო მელიქიძე (800 მ. თბილისი, 2.32,57), თამთა ღვინიანიძე (1500 მ. ვანი, 5.09,93), თამთა ღვინიანიძე (3000 მ. 11.50,91), ბელა ჭკადუა (60 მ/თარჯრბენი. „ბუბა", 10,13), ამანათრბენი, 4X200 მ. 1. თბილისი (1.55,15), 2. ახალციხე (2.03,46), 3. ვანი (2.07,09); მარი მწითური (სიმაღლეზე ხტომა, 160), ირინა მიკიტიუკი (სიგრძე, 5,62), ირინა მიკიტიუკი (სამხტომი, 12,72), სალომე ინჯგია (ჭოკი, 3.00), სალომე რიგიშვილი (ბირთვი, 14,10), სალომე რიგიშვილი (ბადრო, 48,50), ანა ჩოხელი (შუბი, 30,34), ნინო წიქვაძე (ურო, ყველა — თბილისი, 56,28).

ვაჟები. ნიკა კარტავცევი (60 მ, თბილისი-ოზურგეთი, 7,01), ნიკა კარტავცევი (200 მ. 22,66), მინდია ენდელაძე (400 მ. ახალციხე, 51,67), ანდრანიკ მატინიანი (800 მ. ახალციხე, 1.58,23), საბა ხვიჩავა (1500 მ. ფოთი, 4.00,43), დავით ხარაზიშვილი (3000 მ. თბილისი, 8.50,36), თემურ ბაიკეევი (5000 მ. ორივე — თბილისი, 15.20,44), თემურ ცირამუა (60 მჰთარჯრბენი, ზუგდიდის „ბუბა", 9.30); ამანათრბენი, 4X200 მ. 1. ახალციხე (1.38,96), 2. ოზურგეთი (1.40,85), 3. აჭარა (1.41,41); გიორგი ლაბაძე (სიმაღლეზე ხტომა, ქუთაისი, 175), ბაჩანა ხორავა (სიგრძე, „ბუბა", 7,41), გოგა მაღლაკელიძე (სამხტომი, ქუთაისი, 15,10), საბა სოსელია (ჭოკი, „ბუბა", თბილისი, 4.40), გიორგი მუჯარიძე (ბირთვი, თბილისი, 16,96), თემურ აბულაშვილი (ბადრო, 48,18), როსტომ ჭინჭარაული (შუბი, 68,80), გოგა ჭიხვარია (ურო, ყველა — თბილისი, 58,66). გუნდურში პირველ ადგილებზე გავიდნენ: I ჯგუფში — თბილისი, II ჯგუფში — ზუგდიდის „ბუბა".

**გივი გაგუა**

წიგნი

# როგორი ჩანს საქართველოს ხვალინდელი დღე?

## პროფ. როზეტა ასათიანის წიგნი „საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი“ (თბილისი. „სიახლე“, 2014) რეცენზენტის თვალით

**„საით მიდის საქართველო? ეს კითხვა ალბათ დიდი ხანია, აწუხებს ქართველ საზოგადოებას. და ამ კითხვას ბადებს არა უბრალო ცნობისმოყვარეობა. ამ კითხვაში ისმის შეშფოთება და განცდა იმისა, რომ ქვეყანა იქით არ მიდის, საითაც უნდა მიდიოდეს. შესაბამისად, სულ უფრო მეტად ხდება იმის გაცნობიერება, რომ რაღაც უნდა შეიცვალოს რადიკალურად ეკონომიკური რეფორმების კონცეფციაში. ამიტომ 2014 წელს გამოცემული ეს წიგნი, რომელიც ერთგვარი რეაქციაა სოციალურ დაკვეთაზე და დღემდე რჩება აქტუალური, და იქნებ უფრო მეტად აქტუალურიც, რადგან ეკონომიკური რეფორმების კონცეფცია არსებითად არ შეცვლილა, ხოლო მდგომარეობა უარესდება (დაეცა უმრავლესობის ცხოვრების დონე — იზრდება მხოლოდ უმცირესობის კეთილდღეობა, რასაც თან სდევს საშუალო ფენის განადგურება, სოციალური კონფლიქტები და შიდაპოლიტიკური დაპირისპირება. მაგრამ ოფიციალური სტატისტიკა ბადებს განვითარების ილუზიას იმით, რომ მანიპულირებს გასაშუალოებული მაჩვენებლებით, რომლის მიღმაც არ ჩანს ეკონომიკური პოლარიზაცია და უმრავლესობის ცხოვრების დონის დინამიკა).**




მონოგრაფიაში გაანალიზებულია პოსტსაბჭოთა პერიოდი, 1991 წლიდან 2012 წლამდე, ანუ დღევანდელი ხელისუფლების მოსვლამდე. მომდევნო პერიოდმა ცალსახად დაადასტურა ავტორის პოზიცია, რომ „...ნეოლიბერალური (უფრო ზუსტად ულტრალიბერალური) ეკონომიკური პოლიტიკა... ქვეყნის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი იყო“. ანუ რეფორმების წარუმატებლობის მიზეზი თვით რეფორმების კონცეფციაშია. და ხელისუფლების შეცვლა არაფერს შველის, თუ კონცეფცია არსებითად იგივე დარჩება. წიგნის წაკითხვის შედეგად მკითხველი სულ უფრო მეტად რწმუნდება იმაში, რომ ნეოლიბერალური პოლიტიკა საჭიროა, შეიცვალოს სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის მშენებლობით. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ავტორის ასეთ პოზიციას. რადგან ეკონომიკური პოლიტიკის სოციალური ორიენტაციის აუცილებლობა განპირობებულია არა მხოლოდ ეთიკური მოსაზრებებით, არამედ წმინდა ეკონომიკური ფაქტორებით. არასწორი პოლიტიკის შედეგად ეკონომიკაში ჩამოყალიბდა მანკიერი სტრუქტურა. საქართველოში 2012 წლის მონაცემებით, სამეწარმეო საქმიანობაში მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის წილად მოდიოდა 6.6%, 9.2% და 84.2% (მაშინ როდესაც საშუალო ევროპული მაჩვენებლები იყო, შესაბამისად, 40%, 18% და 42%) და იმის შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა. **როდესაც სამეწარმეო საქმიანობის 84.2% მოდის მსხვილ ბიზნესსზე, ხოლო მთავრობა ატარებს ნეოლიბერალურ პოლიტიკას და მიიჩნევს, რომ უპირველესი საზრუნავია მეწარმეობის ხელშეწყობა, რადგან, „ისინი ქმნიან სამუშაო ადგილებს“, მაშინ ცხადია ხდება, რომ ეს პოლიტიკა მორგებულია სწორედ მსხვილ მეწარმეებზე, ოლიგარქებზე, და არა საზოგადოების ინტერესებზე. ხოლო, როგორც ნობელიანტი ეკონომისტი ჯ. სტიგლიცი აღნიშნავს,** ეკონომიკური ძალაუფლების მონოპოლიზაცია ბადებს პოლიტიკური ძალაუფლების მონოპოლიზაციას, რაც დასტურდება კიდეც საქართველოში (ისევე როგორც მთალს მსოფლიოში) მიმდინარე პროცესებით.

სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის კონცეფცია ეფუძნება უფრო ჰარმონიულ ეკონომიკურ ურთიერთობებს და გულისხმობს, რომ არა მარტო მეწარმეები ქმნიან სამუშაო ადგილებს (შესაბამისად, შემოსავლებს და მოთხონას), არამედ, უპირველეს ყოვლისა, მოთხოვნა თვითონ ბადებს სამუშაო ადგილებსაც და მეწარმეებსაც. ხოლო ტოტალური უმუშევრობის პირობებში მოთხოვნა ვერ გაიზრდება, თუ არ გაიზრდება პენსიონერთა, უმწეოთა, სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა (მასწავლებლების, ექიმების და სხვ.) მსყიდველობითი უნარი. ანუ მოთხოვნა ვერ გაიზრდება, თუ არ გაიზრდება ბიუჯეტი, დაბალი იქნება გადასახადები, თუ მოგების გადასახადის გაუქმებას, რომელსაც იხდიან მეწარმეები, ბიუჯეტში დავაბალანსებთ აქციზების ზრდით, რომლებსაც, საბოლოოდ, იხდიან მომხმარებლები.

საბჭოთა სისტემის ნგრევასთან ერთად საქართველოში დაინგრა ეკონომიკაც. ხოლო დანგრეული ეკონომიკის აღორძინება, სადაც უმუშევრობამ, ინფლაციამ, სიღატაკემ არნახული მასშტაბები მიიღო, სადაც არ არსებობდა საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუტები, საჭიროებდა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მშენებლობას, და არა ულტრალიბერალურ პოლიტიკას, რამაც გამოიწვია ეკონომიკური პოლარიზაცია, და განვითარების ბლოკირება. და როგორც სამართლიანად წერს ავტორი, **„საქრთველო მიუბრუნდა წმინდა ლიბერალიზმს მაშინ, როდესაც განვითარებულმა ქვეყნებმა ზურგი აქციეს მას.“**

წიგნი მთავრდება იმავე კითხვით, რომელიც გამოტანილია მის სათაურში — საით მიდის საქართველო? და მართალია, ავტორი წერს, „პასუხი მკითხველისთვის მიგვინდიაო“, მაგრამ არსებითად თვითონვე ამომწურავად პასუხობს არა მარტო ამ კითხვაზე, არამედ იმაზეც **თუ საით *უნდა* მიდიოდეს საქართველო და თუ რატომ არ მიდის სასურველი მიმართულებით. ანუ, ფაქტობრივად, ნაშრომში ნათლად არის ფორმულირებული წარუმატებლობის მთავარი მიზეზიც, და წარმატების მთავარი პირობაც.** მართალია, მიუკერძოებელი მკითხველი შეიძლება არ დაეთანხმოს ავტორის ყველა ცალკეულ დებულებას, მაგრამ შეუძლებელია, არ დაეთანხმოს მის ძირითად დასკვნებს, ან არ გაიზიაროს მისი საერთო პათოსი. წიგნი მდიდარია ფაქტობრივი და სტატისტიკური მასალით, დაწერილია ქვეყნის მომავალზე მოქალაქეობრივი პასუხუსმგებლობით და მთავრდება ქვეყნის სიყვარულით გამსჭვალული სიტყვებით — „ქვეყნად ერთი საქართველოა და იგი ჩვენია“. მისი წაკითხვა უდავოდ წაადგება ქართველ რეფორმატორებს და ყველა დებულება რომც არ გაიზიარონ, იქნებ იგრძნონ მაინც მეტი პასუხისმგებლობა მათი უნიათობით გაღატაკებული ხალხის წინაშე.

**პაატა ლეიაშვილი,**
**პროფესორი**

დღესასწაული



# მსოფლიოს წმინდა მღვდელმთავარნი - ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და იოანე ოქროპირი

**12 თებერვალს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს წმინდანებს, სამ დიდ ბურჯს სარწმუნოებისას, წმიდა ბასილი დიდს, გრიგოლ ღვთისმეტყველს და იოანე ოქროპირს.**

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კონსტანტინოპოლში იმხანად ცხარედ კამათობდნენ იმაზე, თუ ვისთვის მიენიჭებინათ უპირატესობა, რადგან თავიანთ მღვდელმთავართა ხსენება სხვადასხვა დღეს იყო დაწესებული. ზოგნი ამბობდნენ, ბასილი დიდია უპირატესიო, მეორენი გრიგოლ ღვთისმეტყველს მიიჩნევდნენ, სხვები კი — იოანე ოქროპირს.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თურმე ამის გამო (მიზეზად ეს მიუჩნევიათ) და ქრისტიანებს შორის განხეთქილება ჩამოვარდნილა. ვითარება მეტისმეტად დაძაბულია... ღვთის ნებით სამივე მღვდელმთავარი ერთად ეჩვენა მიტროპოლიტ იოანეს და განუცხადა: **„ჩვენ თანასწორები ვართ უფლის წინაშე, შეწყვიტეთ დავა, ერთ დღეს დააწესეთ ჩვენი ხსენება“.**

საგულისხმოა, რომ გრიგოლი ღვთისმეტყველი ბასილი დიდის თანამოღვაწე იყო. ის ეკლესიის მტრებს ამარცხებდა თავისი მოძღვრული გულმოდგინებითა და პირადი ცხოვრების მაგალითით. უდიდესია ბასილი დიდის მოღვაწეობის მადლი, ისევე როგორც მისი თანამოძმის გრიგოლ ღვთისმეტყველისა. რაც შეეხება იოანე ოქროპირს, მას ხომ მთელი სამყარო აქებდა. მან ქრისტიანულ ეკლესიას დაუტოვა წმინდა წერილის შთაგონებული განმარტება. ბიჭვინთაში, კომანში სიკვდილის წინ მან ასეთი სიტყვები წარმოთქვა: „დიდება ღმერთს ყველაფრისთვის“.

* * *

12 თებერვალს არის უძღები შვილის კვირიაკე.

**გიული ლიპარტია**

კრიმინალი

# ვარკეთილში სურსათის მაღაზია დააყაჩაღეს

**ვარკეთილის პირველ მიკრორაიონში უცნობმა პირებმა სურსათის მაღაზია დააყაჩაღეს. შემთხვევა ერთიან მებრძოლთა ქუჩაზე მოხდა.**

თვითმხილველების ინფორმაციით, მაღაზიის სალაროდან წაღებულია 1000 ლარი.

როგორც „ჯი ეიჩ ენს“ შსს-ში განუცხადეს, მძარცველები პოლიციამ ცხელ კვალზე დააკავა. უწყების ინფორმაციით, ამოღებულია თანხაც.

# თევზებს ელექტროშოკით იჭერდნენ



**გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა უკანონო თევზჭერის ფაქტი გამოავლინეს.**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გაჩიანის მიმდებარედ, მდინარე მტკვარზე რამაზ და დავით ადუაშვილები ნავიდან ელექტროშოკური აპარატის გამოყენებით თევზაობდნენ.

მათ მოასწრეს 43 კგ. ხრამულის დაჭერა. გარემოსთვის მიყენებულმა ზიანმა 2580 ლარი შეადგინა.

სამართალდამრღვევებს ჩამოერთვათ და დაილუქა უკანონოდ მოპოვებული თევზი.

# ავარიის დროს სამხედროები დაშავდნენ

**6 სამხედრო მოსამსახურე დაშავდა თერჯოლის რაიონში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად.მეორე ქვეითი ბრიგადის 22-ე ბატალიონის ავტომანქანა, რომელსაც პირადი შემადგენლობა სიმონეთის პოლიგონზე სწავლებაში მონაწილეობის მიზნით გადაჰყავდა, მოსრიალდა და ხეს შეეჯახა.**

სამხედრო მოსამასახურეები სხვადასხვა დაზიანებებით ჯერ ქუთაისში, შემდეგ კი გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს. ექიმების ინფორმაციით, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

დაშავებულები თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა უკვე მოინახულეს.

## სანთელი

**თენგიზ ქავთარაძე სამძიმარს უცხადებს სპარტაკ და მანანა ქობულიებს ძმისა და მაზლის**

### აკაკი მიხეილის ძე ქობულიას

**გარდაცვალების გამო.**

**პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი მეგობრულ თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ საპრტაკ ქობულიას მისი ძვირფასი ძმის**

### აკაკი ქობულიას

**გარდაცვალების გამო.**

ფელეტონური

# თბილისის ცირკთან

ქაშვეთში დგანან ანგელოზები,
მზე აწვიმს იტალიურ ეზოებს,
და ცირკთან თბილისელი ბოზები
არეკლამებენ სავსე თეძოებს.

დგანან, ელიან, დგანან, ელიან,
და საყვირების ისმის განგაში,
ამისი ახსნა ისე ძნელია,
როგორაც პაემანი სანგარში.

აკვირდებიან მსუბუქ ავტოებს,
ზოგი მათგანი სრბოლას ანელებს
და ზოგიერთი გულგრილს არ
ტოვებს,
უთავმოყვარო მექალთანეებს.

საცნაურია მათი ორგია,
მათი ცდუნება ისე დიდია,
დაჭაობებულ სექსის ორგანოს
დგანან და პურის ფულზე ყიდიან.

იქნება სიტყვა ველარ მოვზომე,
აზრი აღარ აქვს სიტყვის არჩევას
და ცირკთან თბილისელი ბოზები
დგანან სიცოცხლის გადასარჩენად.

ზოგს თავისთავი ვეღარ უცვნია,
თავი ჰგონია იმპერატრიცა,
და ცირკთან ყვავის პროსტიტუცია,
ჩვენი ცხოვრების შავი მატრიცა.

მე საწყალს, არ მაქვს სიტყვის
უფლება,
ესეც კლიშეა ჩვენი დღეების,
გატენილია ხელისუფლება
პოლიტიკური მეძავეებით.

აქ შედგა ჩვენი ცხოვრების ეტლი,
სულის და ხორცის ჩანს ეროზია,
ცირკთან დადგები თუ
პარლამენტთან,
იქაც და აქაც ბოზი ბოზია.

რა ეშველება ამდენ უგნურებს,
გაგვიბორდელეს სარფთან გონია,
როდესაც ფარულ კადრებს
უყურებ,
ცირკთან ბოზობა მონაგონია.

ქვეყანამ იცის, რასაც შვრებიან,
ეს არ გეგონოთ ალილუია,
ბოზი მინისტრი დასაშვებია,
ცირკთან ბოზობა აკრძალულია!

**შოთა ზოიძე**

ქ. ბათუმი

# გელა ჩარკვიანის „ნაცნობ ქიმერათა ფერხული“



**„2 იანვარს, უკვე ოფიციალურად თავისუფალი, რუსთაველზე გავედი. ბევრი ნაცნობი შემხვდა. ყველა აღნიშნავდა ჩემს ძალიან წარმატებულ გამოსვლას დათო გოგიჩაიშვილის იუმორისტულ შოუში, რომელიც ახალ წლამდე ჩავწერეთ. ერთნაირად ვპასუხობდი — „ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ პოლიტიკიდან კომედიამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია“, — ასე ამთავრებს თავის წიგნს — ნაცნობ ქიმერათა ფერხული“ — გელა ჩარკვიანი.**

ამ წიგნში თქვენ წაიკითხავთ ბევრ საინტერესო ამბავს, ეს წიგნი დაგეხმარებათ ისწავლოთ როგორ აკეთოთ საქმე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, 7 თებერვალს ადმინისტრაციული კორპუსის მცირე სააქტო დარბაზში გაიმართა ცნობილი დიპლომატისა და მწერლის გელა ჩარკვიანის ახალი წიგნის „ ნაცნობ ქიმერათა ფერხული“ პრეზენტაცია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

წიგნში შესულია ფოტოები გელა ჩარკვიანისა და მაია ფანჯიკიძის საოჯახო არქივებიდან.


# როცა დაავადება უკან იხევს

**ცნობილი** სახალხო მკურნალის, ქალბატონ მაყვალა ცინცაძის უძველესი საოჯახო სამკურნალო ტრადიციების გამგრძელებელი **ნანა მელია-პაიჭაძე** წინაპრების მიერ გადმოცემული ტექნოლოგიით სწრაფად და ეფექტურად მკურნალობს ჰაიმორიტს და ასევე მკურნალობს მცენარეული საფენ-მალამოებით 1. ძვალ-სახსროვან დაავადებებს: მარილებს, კისრის, მუხლ-სახსრის, მენჯ-ბარძაყის ართროზს; 2. ოსტეოქონდროზს; 3. რადიკულიტს; 4. დისკოზს; 5. ნერვის და სახსრების ანთებას; 6. ფეხის ტერფის, ქუსლის ტკივილს.

ვისაც გსურთ სწრაფად, ეფექტურად მკურნალობა და უპირატესობას ანიჭებთ საუკუნეებგამოვლილ, აღიარებულ მცენარეულ მალამოებს, შეგიძლიათ, მიაკითხოთ ქალბატონ ნანას მისამართზე: *ქ. თბილისი, წერეთლის მე-3 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული.* ნანა მელია-პაიჭაძე. ტელ: 2 34 62 51. 557 25 66 17. 599 20 19 66.


# გენეტიკის სივერაგე



**ადამიანის ორგანიზმი დაბერებას 25 წლის ასაკის შემდეგ იწყებს და ეს პროცესი გენეტიკითაა განპირობებული.**

ამიტომაცაა, რომ მოსახლეობის თითქმის 40 პროცენტი, თავიანთ თანატოლებზე საშუალოდ, 4 წლით უფროსებად, 5 პროცენტი კი 8 წლით ასაკოვნად გამოიყურება.

გენებზეა დამოკიდებული შიდა დაბერება, რომელიც, დროთა განმავლობაში, აუცილებლად აისახება გარეგნობაზე.

ბუნებრივია, რომ რაღაც დროის განმავლობაში გარეგნული ცვლილებების შენიღბვა კოსმეტიკური საშუალებებით შეიძლება, მაგრამ, ადრე თუ გვიან, მკაცრი სინამდვილე მაინც იჩენს თავს.

# დღე განკითხვისაა



**ისრაელის ერთ-ერთმა მოქალაქემ სასამართლოში შეიტანა სარჩელი... უფლის მიმართ (!!), იტყობინება „თაიმს ოფ ისრაელი“.**

განმცხადებელმა დაიჩივლა, რომ ბოლო დროს უფალი მის მიმართ განსაკუთრებულად უსამართლოა, თუმცა კი ასეთი „მოპყრობის“ „წვრილმანები“ არ გაუმჟღავნებია.

სასამართლოს სხდომის ოქმში აღინიშნა, რომ „მოპასუხე სასამართლოზე არ გამოცხადდა“, ანუ დუმილის უფლება გამოიყენა, იტყობინება „თაიმს ოფ ისრაელი“.

# „მკურნალი“ მუსიკალური საკრავები



**მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ზოგიერთი მუსიკალური საკრავის ხმა კონკრეტულ დაავადებებს კურნავს.**

მუსიკოთერაპიის სპეციალისტთა განცხადებით, გიტარის ხმა შველის გულის, კლავიშებიანი საკრავების — კუჭის დაავადებათა დროს. საყვირის მოსმენა სასარგებლოა მათთვის, ვინც პანკრეატიტსა და კუჭქვეშა ჯირკვლის სხვა სნეულებებს უჩივის, კუჭ-ნაწლავთა მდგომარეობაზე სასიკეთოდ მოქმედებს ვიოლინოსა და პირის გარმონის ხმები.

მედიკოსთა თქმით, ადამიანის ყველა ორგანოს რხევათა საკუთარი სიხშირე აქვს: რაც უფრო დიდია მისი ზომა და ქსოვილების სისქე, მით უფრო ნაკლებია სიხშირე და პირიქით. ავადმყოფობის დროს ეს სიხშირე იცვლება. ამდენად, რომ თუკი დაზიანებულ ორგანოზე იმ სიხშირის რხევებით მოხდება ზემოქმედება, რომელიც ჯანმრთელის თანხვედრილი იქნება, შესაძლებელი იქნება მისი ნორმალური ფუნქციის აღდგენა.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ, პრინციპში, ნებისმიერი ორგანოსთვის მისი შესაბამისი მუსიკალური საკრავის შერჩევა შეიძლება.

# წიგნიერთა უპირატესობით



**წიგნის მკითხველი ადამიანები, როგორც წესი, უფრო დიდხანს ცოცხლობენ.**

იელის უნივერსიტეტის მკვლევარები 12 წლის მანძილზე 3,5 ათასი პენსიონერის სამედიცინო მონაცემებს სწავლობდნენ. აღმოჩნდა, რომ წიგნის მოყვარულები საშუალოდ 23 თვით მეტს ცოცხლობდნენ იმათთან შედარებით, ვინც საერთოდ არ კითხულობდა.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ წიგნის მკითხველ ადამიანებს ცხოვრების მიმართ მეტი ინტერესი აქვთ. სიცოცხლეს ასევე, თურმე გაზეთების კითხვაც ახანგრძლივებს.

# ყველაზე დაბინძურებული



**მკვლევარებმა ყველაზე დაბინძურებული საგნების ნუსხა გამოაქვეყნეს, რომლებსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ინტენსიურად მოვიხმართ.**

მათ შორის ლიდერები არიან: ფულის ნიშნები და მონეტები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სახელურები და უნიტაზების დასაჯდომები.

გარდა ამისა, აუარება ბაქტერიებია ასევე კომპიუტერების კლავიატურებსა და სამუშაო საშვებზე. სახლში ინფექციების მთავარი ბუდეებია ჭურჭლის სარეცხი ღრუბლები, სამზარეულოს მაგიდა, წყლის ონკანის შემრევი, მაცვრისა და ტუალეტის კარის სახელური.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!


**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6454; ევრო - 2.8290;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3237;
100 რუბლი - 4.4957; თურქული ლირა - 0.7165;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4742;
1000 სომხური დრამი - 5.4432.

**ამინდი 11 თებერვლისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე -5, | დღე +6 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -7, | დღე +1 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +1, | დღე +7 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -2, | დღე +4 |
| თბილისი: | ღამე -1, | დღე +3 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE